619
1976




ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

თებერვალი
№ 2 1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტები

□

რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.
თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არის შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ
     მთელი ცხოვრებით.

□

უბრალო კეპი... უბრალო პალტო...
შიმშილი... ომი... დრო რთულზე-რთული
ის გადიოდა კრემლიდან მარტო
და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური.
მისი სახელი ხალხში ამზევდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის:
აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
     მწამს კომუნისტი!
...ორმოცდაორის თოვლი წითელი...
ველზე გვთიბავდა ცეცხლი მყეფარე...
წამოდგა ვიღაც ყრმა პირტიტველა
და სიკვდილს მკერდით გადაეფარა.
ვაშა, დიდება ძეგლებს ასვეტილს...
იბრძოლა... მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
აი ასეთი,
აი ასეთი
     მწამს კომუნისტი!
სამშობლოს ბედი ბეწვზე ეკიდა...
ხიფათი მოსკოვს გარე უვლიდა...
არ გამოსულა იგი კრემლიდან
და არც გამოდის ხალხის გულიდან!
ის რკინის ნებას
     ხალხს გადასცემდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
დიახ ასეთი,
მართლაც ასეთი
     მწამს კომუნისტი!

□

...რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი.
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.
მაშ გაუფრთხილდი მაგ წითელ მანდატს —
მზისა და დროშის პაწია ნაჭერს,
არ დაგავიწყდეს: შენ საქეს მართავ,
ლეგენდარული კომუნის საქეს!..

შოთა ნიშნიანიძე

# ჩვენ მივდივართ ყრილობაზე

გივი ლომიძის პლაკატი




ეროვნული ბიბლიოთეკა

13,073

დიდი პატივი მხვდა წილად: ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა თავყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატად ამირჩიეს.

საქართველოს კომპარტიის საიუბილეო — ოცდამეხუთე ყრილობა, რომელმაც ახლახანს დაამთავრა მუშაობა, მეცხრე ხუთწლედში გაწეული შრომის გენერალური შემოწმება იყო. ყრილობამ შეაჯამა საქართველოს მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგები, ამომწურავად გააანალიზა მიღწეული წარმატებები და ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს კომუნისტთა დიდმა ფორუმმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დაუსახა ახალ გამარჯვებათა მიღწევის კონკრეტული გზები, განსაზღვრა შემდგომი მუშაობის ამოცანები და საშუალებები.

წინ ახალი—ხარისხისა და ეფექტიანობის მეათე ხუთწლედია. ეს ხუთწლედი საქართველოს ეკონომიკისა და მისი სოციალური ცხოვრების დარგში არსებული ზოგიერთი ჩამორჩენის დაძლევისა და კიდევ უფრო მოწინავე მიჯნებზე გასვლის ხუთწლედად უნდა გადავაქციოთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი ხალხის მონოლითური დარაზმულობა პარტიის გარშემო, ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს მშრომელები ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, კიდევ უფრო მეტი გატაცებითა და გორკეცებული ენერგიით იბრძოლებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მალე მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. ყრილობა მიიღებს და დაამტკიცებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს, რომელშიც მეცნიერულად არის განსაზღვრული სოციალისტური საზოგადოების კომუნიზმისკენ წინსვლის ამოცანები და გზები.

ყრილობაზე მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ჩვენი ცხოვრების ხვალინდელ დღეს, კიდევ უფრო ნათელ და ბედნიერ მომავალს.

აი, ამიტომაც არის, რომ ჩვენ, საბჭოთა საქართველოს კომუნისტთა წარგზავნილები ასეთი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, ასეთი სიხარულითა და სიამაყის გრძნობით აღვსილნი მივეშურებით ყრილობაზე.

კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოს კომუნისტთა წარგზავნილები მტკიცედ შევუერთებთ ხმას ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან წარმოგზავნილ დელეგატთა ხმას.

ლენინური პარტიის XXV ყრილობა კომუნიზმისკენ მიმავალ ახალსა და ფართო გზებს გახსნის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე.

გიორგი კურტანიძე,
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (470) თებერვალი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე,
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია,
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ტასო [illegible]

ბიბლიოთეკა

# XXV დიადი მიზანდასახულობანი XXV

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი წარმატებებით ეგებებიან პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. კომუნისტთა ამ დიადი ფორუმისათვის მზადების დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში". დაიბეჭდა თვით პროექტიც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ პროექტის განხილვა მოეწყოს პირველად ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივზე, პრესაში.

პროექტის განხილვა, მისი გაანალიზება და ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა გამოქვეყნების დღიდანვე საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ამ საპროგრამო დოკუმენტში ჩვენი ადამიანები თავიანთ კიდევ უფრო ნათელ და ბედნიერ მომავალს ხედავენ. პარტიის მიერ წამოყენებული გეგმები მეცნიერულად დასაბუთებული ჭეშმარიტებით ასახავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ შენებასა და გრანდიოზული ნაბიჯებით წინსვლას, მის არნახულ აყვავებას, გაძლიერებას, კომუნიზმისკენ სწრაფვის შთამაგონებელ პერსპექტივებს.

პარტიისა და ხალხის შეკავშირება, მათი მონოლითური მთლიანობა ჩვენი ქვეყნის ძლიერების უშრეტი წყაროა. კომუნისტური პარტია, რომელიც მშრომელი ხალხის მისწრაფებებსა და საარსებო ინტერესებს გამოხატავს, როგორც წესი, ყოველთვის ეთათბირება ხალხს, ითვალისწინებს მათ სურვილებს, შეხედულებებს, მათ კოლექტიურ გამოცდილებას. ამიტომაც არის რომ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პროექტში დასახული მომავალი მეათე ხუთწლედის გეგმები, ასე გასაგები, ასე ძვირფასი და ახლობელი გახდა ჩვენი ხალხისათვის.

პარტიის მიერ მასების განსახილველად გამოქვეყნებულმა პროექტმა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელებში, მეტი ძალა და ენერგია შემატა მათ, სამშობლოს სადიდებლად ახალი საგმირო საქმეების განსახორციელებლად შთააგონა ისინი.

ახალი ხუთწლედის დიად მშენებლობას მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებამ ჩაუყარა საფუძველი. ყოველთვის ასეა, მტკიცე და მაღალი შენობის აგება შეუძლებელია საიმედო საძირკვლის ჩადუღაბების გარეშე. მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული სასახელო მაჩვენებლები კი სწორედ ის საიმედო საძირკველი იყო, რომელზეც ახლა უფრო მტკიცე და მაღალი შენობა უნდა ავაგოთ.

მეტად სასიხარულოა ის გარემოება, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა მეცხრე ხუთწლედი. საქართველოს მშრომელებმა წარმატებით გადაჭრეს მთავარი სახალხო-სამეურნეო პრობლემები და ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად მტკიცედ დარაზმულნი შეეგებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას.

საქართველოს მრეწველობამ დასძლია მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის სერიოზული ჩამორჩენა, მკვეთრად დაწინაურდა და ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმა. 1971-1975 წლებში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 39 პროცენტით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო სკკპ XXIVყრილობის დირექტივებით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დადგენილი დავალება. თუ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა 2,5 პროცენტი შეადგინა, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე იგი 10 პროცენტამდე გაიზარდა. ჩვენი რესპუბლიკის დიდ წარმატებებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1972 წელს საქართველოს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპით მოძმე რესპუბლიკებში მეთხუთმეტე ადგილი ეკავა, ხუთწლედის უკანასკნელ ორ წელიწადში კი იგი მეორე-მესამე ადგილზე დაწინაურდა.

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელიწადში ასევე წარმატებით იქნა დაძლეული სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიაღწიეს დიდ გამარჯვებას — მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების გეგმების ვადამდე შესრულებას. ხუთწლედის დავალების გადამეტებით მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებები.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებული ეს სამაგალითო წარმატებები იმის შედეგია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ნაკლოვანებათა წინააღმდეგ პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს. ყველაფერი კეთდება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისათვის, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის. წარმატებების მოპოვება შესაძლებელი გახდა დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირისა და გმირული შრომის შედეგად, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენლების, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების, მთელი ჩვენი ინტელიგენციის მხარდაჭერისა და ძმური თანამეგობრობის შედეგად.

წინ კიდევ უფრო დიდი და დაძაბული შრომა მოგველის. მეტი მხნეობა და თავდადებული ბრძოლა გვმართებს, რომ წარმატებით შევასრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტით განსაზღვრული ახალი გრანდიოზული ამოცანები.

საბჭოთა ხალხს მეათე ხუთწლედი გვიხმობს ახალი ნათელი მიჯნების დასაპყრობად! ხუთწლედი, რომლის მთავარი ამოცანაა „საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება".

დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული. ეროვნული შემოსავლის მატების 85-90 პროცენტი მეათე ხუთწლედში მიღებული იქნება სწორედ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მრეწველობაში იგი გაიზრდება 30-34 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში 27-30 პროცენტით, მშენებლობაში — 29-32 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 18-20 პროცენტით.

ჩვენი ეკონომიკის განვითარების წამყვანი ძალის — სოციალისტური ინდუსტრიის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან პროდუქციაზე, უზრუნველვყოთ წარმოების ტექნიკური განახლება და ინტენსიფიკაცია ყველა დარგში. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მეათე ხუთწლედში მოიმატებს 35-39 პროცენტით. 1980 წელს ელექტროენერგიის გამოშვება მიაღწევს 1.340-1.380 მილიარდ კილოვატსაათს, ნავთობის მოპოვება, გაზის კონდენსატთან ერთად, გაიზრდება 620-640 მილიონ ტონამდე, ქვანახშირისა — 790-810 მილიონ ტონამდე, ფოლადის გამოდნობა — 160-170 მილიონ ტონამდე, ქსოვილების წარმოება — 12,5-13,1 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე.

განსახილველი პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ისეთ ეფექტიან ამაღლებას, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი სურსათ-სანოვაგით, ხოლო მრეწველობისა — საჭირო მაღალხარისხოვანი ნედლეულით. ახალ ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო-წლიური მთლიანი მოსავალი უნდა გავზარდოთ 215-220 მილიონ ტონამდე, ხამი ბამბისა — სულ ცოტა, 9 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 95-98 მილიონ ტონამდე, ხორცის წარმოება — 15-15,6 მილიონ ტონამდე, რძისა — 94-96 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 58-61 მილიარდ ცალამდე.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალ ხუთწლედში მიიღებენ 1.900 ათას ტრაქტორს, 1.350 ათას სატვირთო ავტომობილს, 538 ათას მარცვლასაღებ კომბაინს.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო სრულად დაკმაყოფილდება მშრომელთა გაზრდილ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 20-22 პროცენტით გადიდდება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 16-18 პროცენტით გაიზრდება. კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 24-27 პროცენტით ამაღლდება.

მეათე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში აშენდება ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სულ ცოტა, 7 მილიონი მოსწავლისათვის. გაფართოვდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, რომლებიც დაახლოებით 11 მილიონ კვალიფიციურ მუშას მოამზადებენ. ცხრა მილიონზე მეტ სპეციალისტს გამოუშვებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

კიდევ უფრო მძლავრი და ყოველმხრივ მაღალგანვითარებული გახდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო, კიდევ უფრო ამაღლდება მისი როლი და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. უფრო ღრმა, უფრო ფართო გახდება სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობა.

აი, ჩვენი დიდებული და ნათელი ხვალინდელი დღე! აი, ის ღრმად მეცნიერული, ყოველმხრივ დამუშავებული და დასაბუთებული დოკუმენტი, რომელიც მთლიანად შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებს, ამომწურავად განსაზღვრავს ახალი ხუთწლედის დიად ამოცანებს, პარტიის ლენინური ხაზის განხორციელების მაგისტრალურ გზებს გვისახავს წინ.

წლევანდელი თებერვალი პარტიისა და ხალხის ისტორიაში ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტის — სკკპ XXV ყრილობის თვეა. სწორედ ამ ყრილობამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტით გათვალისწინებული ძირითადი მიზანდასახულობანი.

მეათე, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი კომუნიზმის მშენებლობის ახალ სახელოვან საქმეთა ხუთწლედი იქნება. ქართველი ხალხი, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, ეჭვი არ არის, მთელ თავის უნარს, ნიჭსა და შესაძლებლობას გაორკეცებული ძალით მოახმარს პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესრულებას.

















ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტმა პარტიის XXV ყრილობისათვის საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

პროექტში მოცემული ჩვენი ქვეყნის შემდგომი პროგრესის რეალისტური პროგრამა სავსებით შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს.

პარტიის გეგმები — ხალხის გეგმებია!

# ხალხი იწონებს

საქვეყნოდ ცნობილი მეხილის — სოციალისტური შრომის გმირის არსენ ლოლიჭაშვილის ბრიგადაში ვმუშაობ.

ჩვენს ბრიგადას შარშან მოსავლელად 70 ჰექტარი ხეხილის ბაღი ჰქონდა გაპიროვნებული. მე და ჩემმა მეგობრებმა მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 380 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ხილი, გეგმით კი 174 ტონა იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისათვის მეტ ძალასა და ენერგიას გვმატებს. პროექტის მიხედვით, ჩვენი ხალხის წინაშე დიდებული პერსპექტივებია გადაშლილი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო წარმატებით ვიშრომებთ და სასახელო მაჩვენებლებით გავახარებთ დედასამშობლოს.

**ნაზი მამუკელაშვილი,**
გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შესახვედრად ვემზადებოდით, როცა პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისათვის.

რა თქმა უნდა, მაშინვე დავინტერესდით, გულდასმით დავიწყეთ პროექტის შესწავლა. ჩვენს წინაშე გადაიშალა არნახული ძვრების, სამაგალითო პერსპექტივების გზა. ახლა, გაეცნობით ამ ღირსშესანიშნავ დოკუმენტს და თვალწინ ნათლად გიდგებათ ხვალინდელი დღე: კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო აყვავებული.

ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული ჩვენს წინაშე. მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ ყურძნის მოსავლიანობა, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მეჩხერიანობას. თავს არ შევირცხვენთ, საერთო წარმატებაში მევენახეებიც შევიტანთ საპატიო წვლილს.

**სერგო მირველაშვილი,**
გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი", ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ძლიერებისა და კეთილდღეობის ნათელი დოკუმენტია.

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეებს, როგორც იტყვიან, წინ დიდი და ნათელი მიზნები გვაქვს დასახული. ახალ ხუთწლედში ახალი [illegible] მოპოვება ჩვენს გარჯასა და კეთილსინდისიერ შრომაზეა დამოკიდებული. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კვლავაც განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები.

**შალვა კვანტალიანი,**
[illegible] რაიონის ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის [illegible]

ჩვენს კოლექტივში საყოველთაო მოწონება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტმა XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი".

ჩვენ გვეამაყება, რომ საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშომ მადნეულის სამთო გამამდიდრებელმა კომბინატმა გასულ ხუთწლედში გარკვეული წარმატებები მოიპოვა.

მთელი ჩვენი კოლექტივი მტკიცედ არის მოწადინებული, რომ მეათე ხუთწლედში დიად ზღუდეებს შევეჭიდოს. გვინდა ვუპატაკოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, რომ ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ და წარმატებით დავიპყრობთ ამ ზღუდეებს.

**თამარ სელიმაშვილი,**
მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშა.

ქართველი მეჩაიეების სახელით მინდა თამამად ვთქვა, რომ აღფრთოვანებულნი ვართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტით XXV ყრილობისათვის.

პროექტი გულდასმით განვიხილეთ და შევისწავლეთ. ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ხალხის ინტერესებს. იგი მეტ ძალასა და ენერგიას გვმატებს, ახალი თავდადებული შრომისა და საგმირო საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს.

საქართველოს მეჩაიეებმა გასულ ხუთწლედში საქვეყნოდ ვისახელეთ თავი. ამ საერთო წარმატებაში ჩვენმა კოლმეურნეობამაც შეიტანა თავისი პატარა, მაგრამ საპატიო წვლილი. პირადად მე შარშან 7 ტონა „მწვანე ოქრო" მოვკრიფე.

1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება 355 ათას ტონამდე უნდა გავზარდოთ.

დღევანდელი ნათელი დღე, მომავლის ღრმა რწმენა ყველას გვიხმობს, რომ რეალობად ვაქციოთ მეათე ხუთწლედის ეს საპატიო დავალება.

**ტატიანა ვაშალომიძე,**
მახარაძის რაიონის მთისპირის კოლმეურნეობის მეჩაიე.

კომკავშირი ყოველთვის იყო პარტიის საიმედო დასაყრდენი. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები გმირულად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს, თავგამოდებით ებრძოდნენ მტრებს, ახალგაზრდული გატაცებითა და შემართებით შრომობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის ახალ პერსპექტივებს სახავს ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე.

შრომასა და ბრძოლაში გამოწრთობილი კომკავშირელები კვლავაც ისახელებენ თავს მეათე ხუთწლედის მიზანდასახულობათა წარმატებით შესრულებაში.

**ნინო ელიზბარაშვილი,**
საქ. ალკკ თბილისის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში XXV ყრილობისათვის ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ზრდის პერსპექტივები.

ჩვენთვის, პედაგოგებისათვის, განათლების დარგის მუშაკებისათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. პროექტი მიზნად ისახავს სასკოლო მშენებლობის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო პროცესის სრულყოფას. ეს ჩვენ გვავალებს დიდ პასუხისმგებლობას, რადგან მომავლის მშენებელი ადამიანი შეიარაღებული უნდა იყოს საფუძვლიანი ცოდნითა და მაღალი მორალური თვისებებით.

**მანანა კოზახიძე,**
საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო მეათე ხუთწლედში

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო მაღალგანვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა.

საბჭოთა საქართველო ახლა ყოველ 5 დღეში იმდენ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი ერთი წლის განმავლობაში აწარმოებდა.

საქართველოდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საექსპორტოდ იგზავნება 300-ზე მეტი დასახელების მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმი, მინერალური ნედლეული, სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩაის პლანტაციებს საქართველოში ათას ჰექტარამდე ფართობი ეჭირა. „მწვანე ოქროს" ბუჩქები ახლა ათი ათასობით ჰექტარზეა გაშენებული. საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტს საქართველო იძლევა.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მათ საერთაშორისო კონკურსებზე 250 მედალი დაიმსახურეს.

განვლილ ხუთწლედებში არნახულ აყვავებას მიაღწია ჩვენმა ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ. მთელს მსოფლიოში ჰპოვეს აღიარება ქართველმა მეცნიერებმა, პოეტებმა, პროზაიკოსებმა, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკებმა.

კიდევ უფრო დიდი, ნათელი და სამაყო პერსპექტივები ისახება ჩვენს წინაშე უახლოეს მომავალში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი" ითვალისწინებს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში 35-39 პროცენტით გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. გავითვალისწინოთ ელექტროტექნიკური, ჩარხსაინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა. უზრუნველვყოთ ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით, გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ. დავამთავროთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. განვავითაროთ მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მეღვინეობა, გავითვალისწინოთ მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთიან და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

21-24 პროცენტით გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა. უზრუნველვყოთ ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ამაღლება, მოვსპოთ მრავალწლოვან ნარგავთა სიმეჩხრე. 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 355 ათას ტონამდე, ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი გავადიდოთ დაახლოებით 1,5-ჯერ. გავაფართოოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა. განვახორციელოთ მიწების რწყვის სამუშაოები 60 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოშრობა კოლხეთის დაბლობისა 40 ათას ჰექტარზე, გავაუმჯობესოთ მელიორირებული მიწების გამოყენება.

უზრუნველვყოთ შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მეცხრე ხუთწლედში წარმატებით გადაწყვიტა მთავარი სახალხო-სამეურნეო პრობლემები.

ეს თვალსაჩინო წარმატებები მოპოვებულია ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელების, მთელი ინტელიგენციის ერთიანი მოქმედებით, მათი ძმური შეკავშირებითა და დაუღალავი შრომით.

ახლა ჩვენს წინაშე მეათე ხუთწლედის კიდევ უფრო მაღალი მწვერვალებია დასაპყრობი. თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური საზრუნავი ის არის, რომ ყველაფერი გავაკეთოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით განსაზღვრული ახალი გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, მეათე ხუთწლედში განუხრელად ივლიან ლენინური გზით, კიდევ უფრო ძლიერსა და უხვს გახდიან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს; ამ საერთო წინსვლასა და აყვავებაში მზიური საქართველოს ხვალინდელი დღის ნათელიც ირეკლება.



მამა-შვილი ბაქრაძეები.

ავთანდილ მაჭავარიანის ფოტო

პლექსი ერთ-ერთი მძლავრი არტერიაა ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში.

პირველ ხანებში საქმე ვერ აეწყო. მაღაროთა ახალ სამმართველოში გეგმების შესრულება გაუჭირდათ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად საგანგებო ღონისძიებები მიიღეს. ახალ ითხვისში მალე 300 გამოცდილი მეშახტე გამოგზავნეს, რომლებსაც წინ უნდა წაეწიათ შეფერხებული მუშაობა.

მოწინავეთა შორის გიგა ბაქრაძეც იყო. მას მაღაროში მუშაობის 12 წლის გამოცდილება ჰქონდა და მკერდს შრომის წითელი დროშის ორდენი და „შრომითი წარჩინების“ მედალი უმშვენებდა.

გიგა პირველ ხანებში კარპე ნადირაძის კომპლექსურ ბრიგადაში მუშაობდა. მალე ისე ისახელა თავი, რომ ბრიგადირად დააწინაურეს და შვიდკაციანი კოლექტივი ჩააბარეს.

საქვეყნოდ ცნობილი მეშახტე გიგა ბაქრაძე დიდი სიყვარულით იხსენებს თავის პირველ თანამოსაქმეებს, რომში ახლა ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავე საწარმოა. საკმარისია ვთქვათ, რომ მისი სადღეღამისო მადნის მოპოვება 5 000 ტონას შეადგენს.

წარჩინების მაუწყებელია ისიც, რომ ყოველი ახალი სამთო მექანიზმის გამოცდა-დანერგვა, როგორც წესი, ყოველთვის აქ წარმოებს ხოლმე. უკანასკნელ ხანებში წარმოებაში სწრაფად მკვიდრდება სხვადასხვა ტექნიკური სიახლენი, რომლებიც განუზომლად უწყობენ ხელს მაღაროელთა უსაფრთხოდ მუშაობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მეტი წარმატებების მოპოვებას.

პარტიული კომიტეტის მდივანი სერგო კობახიძე გვესაუბრება მთელი კოლექტივის საქმიანობაზე. ამ საუბრიდან ბევრ ახალსა და საინტერესოს ვიგებთ.

ახალი ითხვისის მშრომელებმა შარშანდელი წლიური გეგმა 13 დეკემბრისათვის გაანაღდეს. მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება მათ გასული წლის 6 ოქტომბერს უპატაკეს სამშობლოს. შარშან გეგმის გადამეტე-

# ჭიათურაში მიდი [illegible]

თბილისიდან ჩასულს პირველი თოვლით შემეგება მარგანეცის ქალაქი. დიდი ხანია ჭიათურაში არა ვყოფილვარ და შეცვლილი მეჩვენა ქალაქი. ამგვარ ამინდში თითქოს მხარიც მექცა, ვეღარ გადამეწყვიტა საით წავსულიყავი.

ბაქანზე ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მოადგილეს ვაჟა ხარატიშვილს მოვკარი თვალი. როგორც შემდეგ შევიტყვე, სტუმრის დასახვედრად გამოსულიყო სადგურში.

— გვირაბგამყვან გიგა ბაქრაძეზე ნარკვევის დაწერა მაქვს დავალებული,— ავუხსენი ჩემი ჩასვლის მიზეზი ვაჟას, — ხომ არ იცნობ?

— შე კაცო, გიგა ბაქრაძეს ჭიათურაში თითქმის ყველა იცნობს.

სიტყვა არცა ჰქონდა დამთავრებული, რომ მოულოდნელად გაიღიმა და მატარებლის ვაგონიდან ჩამოსულ კაცზე მიმითითა:

— ე, გიგა!

ჩემი ნარკვევის გმირი სადგურშივე გავიცანი. ვაჟამ ბოდიში მოიხადა — კაცი მყავს მოსაძებნიო და ვაგონებს ჩაუყვა.

გიგა ბაქრაძესთან თბილისიდან ჭიათურამდე თურმე ერთად მიმგზავრია მატარებლით.

— ჭიათურის მარგანტრესტის მმართველ მიხეილ აფაქიძესთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ტელესტუდიაში ვიყავით მიწვეულნი, — მიხსნის გიგა ბაქრაძე, — გვესაუბრნენ, პატარა ტელეფილმი გადაგვიღეს და, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ისევ ჭიათურაში გამოგვისტუმრეს.

გვერდულად შევცქერი ჩემს თანამგზავრს. საშუალოზე მაღალი ტანისაა. მეტყველი თვალები და, იმერეთში რომ იტყვიან, მარილიანი სახე აქვს. თმაში აქა-იქ ჭაღარა მოუჩანს.

— გიკვირთ არა, უქუდოდ რომ დავდივარ? — იღიმება გიგა, — ორმოცდაშვიდისა შევსრულდი და ქუდი არა მხურებია... თოვლსა და ქარში ყოველთვის უქუდოდ დავდივარ.

ჩემმა ძველმა ნაცნობმა ვაჟა ხარატიშვილმა მართალი მითხრა, გიგა ბაქრაძეს თითქმის ყველა იცნობს ჭიათურაში.

— გიგას გაუმარჯოს! — წარამარა ესალმებიან გამვლელები, ესალმებიან და მაშინვე დასძენენ ხოლმე ღიმილით: — მოგილოცავთ!

— რას გილოცავენ? — ვეღარ ვიკავებ თავს და დაინტერესებით ვეკითხები გიგას.

—მანქანას. ამას წინათ „ჟიგული“ მივიღე... საბჭოთა კავშირის მეტალურგიის მინისტრმა დამასაჩუქრა.

* * *

ქალაქში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ტრესტში სასწრაფოდ ავიღე საჭირო მონაცემები და გიგა ბაქრაძესთან ერთად ახალი ითხვისისაკენ გავეშურე.

ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველო 1958 წელს შეიქმნა სოფელ ითხვისის ზეგანზე. ამ მაღაროთა კომლებთანაც ერთად უხდებოდა კლდოვან ლაბირინთში პირველი „კვალის“ გაყვანა, მარგანეცის შრეების მკლავმოუღლელად ბურღვა.

თავდადებულ შრომას ყოველთვის სიახლე მოაქვს. 1967 წლიდან გიგა ბაქრაძეს დავალება მიეცა, რომ მარტო შეჭიდებოდა საქმეს. სანგარში ახლა მხოლოდ გვირაბგამყვანი და მისი დამხმარე უნდა ჩასულიყვნენ.

ამ მეთოდით მუშაობა ძნელია, მაგრამ თუ დიდი ძალა, დიდი შრომისმოყვარეობა, საქმის სიყვარული და ვაჟკაცური შემართება გაქვს — თითქმის მიუღწევლის მიღწევასაც შესძლებ.

ქართველი მეშახტის გიგა ბაქრაძის ვაჟკაცურმა შემართებამ ყველაფერს სძლია, გმირული მიღწევებით საქვეყნოდ ისახელა თავი და სკკპ XXV ყრილობას შრომაში მოპოვებული საამაყო წარმატებებით ხელდამშვენებული შეეგება.

* * *

მაღაროთა კომპლექსები მთების ფერდობებზეა შეფენილი. საბაგირო გზით მივემართებით სანგრევების დასათვალიერებლად. კვლავ თოვს. უსასრულო სითეთრეში უფრო მკვეთრად ისახება ხეობის გულში გართხმული ჩაშავებული ყვირილა.

ზემოთ და ზემოთ მივიწევთ, მერე მეორე საბაგირო ხაზზე ვინაცვლებთ და ლიფტ-გალერეით მარგანეცის მაღაროებთან ვჩერდებით.

ითხვისის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი ჭიათურის მარგანეცის აუზბით აქ 12.200 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მოიპოვეს, მეცხრე ხუთწლედში კი მთლიანად 54.200 ტონაზე მეტი ქართული მარგანეცი მისცეს დედასამშობლოს.

— წარმატებას, რა თქმა უნდა, ადამიანები ქმნიან, — გვეუბნება სერგო კობახიძე, — საერთო წინსვლაში მთელმა კოლექტივმა შეიტანა თავისი წვლილი. პირველ რიგში კი მაინც გიგა ბაქრაძე უნდა დავასახელო. ეს არის ჩვენი მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელი, რომლის შრომა და თავდადება სამაგალითოა ყველასათვის.

* * *

გიგა ბაქრაძე ბიგებით ამაგრებს სანგრევის ჭერს, დგამს ხის ორ ჩარჩოს, შემდეგ იწყებს ბურღვას. მანქანის ორი

ახალი მანქანის საჭესთან.



# დიდება შრომას



ა. თოდრია
,,ბარაქიანი მოსავალი''.



გ. ღლონტი
,,რთველი''.



გ. ნარმანია
„შემოდგომა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიდება შრომას



ბ. ჭელიძე
„სიმინდი“.

გადაადგილებით სწრაფად ამზადებს ოც ბურღილს და ამფეთქებელს უთმობს სანგრევს. აფეთქების შემდეგ ოცი წუთია საჭირო, რომ სავენტილიაციო დანადგარის საშუალებით სანგრევი განიავდეს. იწყება რვა ვაგონიან შემადგენლობაში მონგრეული ქანების ჩატვირთვა. თითო ჯერზე გიგა ბაქრაძე ოცდახუთ ტონა მარგანეცს იღებს და მთელი ამ რთული პროცესის შესრულებას მხოლოდ ორიოდე საათს ანდომებს. მისი მოძრაობა საათის მექანიზმივით არის აწყობილი. არც ერთი ზედმეტი გადახრა, არც ერთი ზედმეტი მოქმედება. ყველაფერი ზუსტად არის გაანგარიშებული და გაზომილი. ყოველ ცვლაში გიგა ერთ-ნახევარი ციკლის ნაცვლად ორი ციკლის შესრულებას ასწრებს და გეგმით გათვალისწინებული ოცდაორი ტონის ნაცვლად ორმოცდათხუთმეტ ტონა მარგანეცს ანგრევს.

გიგა ბაქრაძე უკვე კარგა ხანია რაც მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად იბრძოდა. ხუთწლიანი გეგმით მას 937 გრძივი მეტრი უნდა გაევლო და 14.520 ტონა მარგანეცი ამოეღო. ფაქტიურად 1975 წლის 6 ნოემბრისათვის 1.880 გრძივი მეტრი გაიარა, 29.075 ტონა მარგანეცი მოანგრია და მეათე ხუთწლედის გეგმა 200,2 პროცენტით შეასრულა.

ბარაქალა ამ შრომასა და ამ გამარჯვებას!

კლდოვან მიწისქვეშეთთან ბრძოლაში ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ლენინის ორდენი და შრომის წითელი დროშის მეორე ორდენი დაიმსახურა.

* * *

საჩხერის რაიონის სოფელ პერევში დაიბადა გიგა ბაქრაძე. ჭაბუკი იყო, როცა ჭიათურაში ჩამოვიდა და მაღაროში დაიწყო მუშაობა. ეს ტრადიცია კვლავაც გრძელდება ბაქრაძეების ოჯახში. შარშან გიგამ თავისი ვაჟიშვილი როსტომი მიიყვანა ახალი ითხვისის მაღაროებში და გვერდში ამოიყენა.

მომდევნო ვაჟიშვილი გურამი, საბჭოთა არმიის რიგებშია. ჩამოვა და, ალბათ, იმასაც მამისა და ძმისაკენ გაუწევს გული. მესამე შვილი ქალიშვილი გახლავთ. ლეილა ახლა ქუთაისის პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს. ვნახოთ, საით გაუწევს იმასაც გული.

ჭიათურაში ისევ თოვს.

სადგურში გავიცანით ერთმანეთი და ახლა ისევ სადგურისაკენ მომაცილებს გიგა.

გზაზე ახალგაზრდები ესალმებიან ჩემს თანამგზავრს.

— ძმები ბუზალაძეები არიან, — გურამი და დავითი, — მიხსნის გიგა, — აგერ ისინი კი გივი ცარციძე და ვლადიმერ კურესელიძე გახლავან. ჩემი აღზრდილები არიან. გვირაბგამყვანის პროფესია შევასწავლე...

გიგა ჩერდება და მაშინვე მეკითხება:

— კიდევ როდის გვეწვევით ჭიათურაში?

— როცა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმას შეასრულებთ.

— მაშ, მალე მოგიწევთ ჩამოსვლა! — ხელს მიწვდის გიგა ბაქრაძე.

მეგობრულად ვემშვიდობები და მწამს, რომ ჭიათურაში მართლაცდა მალე მომიხდება ჩამოსვლა.

ჰენრი კობიძე

ჯანო ჯანელიძე

# ქებათა ქება ენგურჰესს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე მივლინებით იმყოფებოდა ენგურჰესის მშენებლობაზე. შთაბეჭდილებათა შედეგად დაწერა ლექსების ციკლი. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ ციკლიდან.

## ფიქრები

ჩაფიქრებულნი მიცქერენ მთები,
მთებო, რას ნიშნავს ეს ჩაფიქრება?
ვითარც მლოცველნი, ზეცას რას
ვედრით,
თუ არა გმირთა ქებათა ქებას.
ამოვა მთვარე და მთათა შუბლზე
ნაპრალებს, როგორც ნაოჭებს დათვლის,
ენგური მღერის და ზეცა უსმენს,
ენგური მუდამ მთქმელია მართლის.
მთქმელია მართლის, მქნელი—სიკეთის,
მან დამიწყურა პოეტს ფიქრები,
თუ სამშობლოსი მოითხოვს ბედი,
ლამპიონებად მეც ავინთები.
მეც ავინთები და ვიჩახჩახებ,
ამაზე მეტი რა არს ღირსება?!.
ენგურში ვნახავ საკუთარ სახეს,
სული სინათლით კვლავ აივსება.
გავეჯიბრები მკათათვის მთვარეს
და დავირხევი ატმის ტოტივით,
გამთენიისას დავხუჭავ თვალებს,
როგორც კოლხური სევდის მოტივი.
შეღამებისას კვლავ ავინთები,
მიმწუხრი მთებში შემოვა როცა,
აგაფერადებ შვიდივე ფერით
და ეს იქნება შენდამი ლოცვა.

## ოქროს საწმისი

ერთი ნახტომი და კიდეც ცამდე
მიწვდება ჩემი მაღალი მხრები,
და თუმცა მტრებმა მრავალგზის
მძარცვეს,
დღეს ცისკარს მაინც სიმღერით ვხვდები.
შენ რომ ხუდონის ხეობას სრავდი,
მე მარადიულ ძილით მეძინა,
დღეს სხვა გზა მიხმობს,
კმარა, ნახვამდის!
მე ის ზღაპრული ოქროს ვერძი ვარ,
არგონავტებმა რომ გაიტაცეს
და სიზარმაცით უცბად განძარცვეს,
დღეს ისევ ვბრწყინავ კოლხეთის ცაზე,—
როგორც სინათლის დიადი მაცნე.
მე ვარ მომავლის დიდი სიკეთე,
სიტყვა სიმართლის და სიტყვა ახლის,
ამირანმა რომ მოსტაცა ღმერთებს
და რასაც ასე ელოდა ხალხი.
ყველა ძვირფასი ჩემში ბინადრობს,
ყველა ძვირფასი ჩემში ბრწყინვალებს,
ენგურის ხტომავ, ხტომავ დიადო,
ვარ ქედმოხრილი მე შენს წინაშე.

## ოდეს

რას მკითხაობენ ეს ვარსკვლავები?
ჟამი კვლავ მრავალ სიმღერას .მოხრის,
ცრემლით ავსილი ლურჯი თვალებით
ნაპირს მიჰყვება პატარა კოლხი.
და მეც ხუდონის რუხ ხეობაში
დავეხეტები, როგორც ლტოლვილი,
აყვავებული, ვით ტოტი ვაშლის,
მოჩანს ნაპრალი გადათოვლილი.
და მელანდება მუდამ, ნიადაგ
ფსკერმოლიპული კოლხთა ნავები,
პონტოს ნაპირებს როგორ მიადგნენ
და ძოწისფერი დასცეს კარვები.
გინახავთ ოდეს, სიზმრად ან ცხადად
დიდი კოლხეთის თეთრი არმადა,
მტრის ხომალდებს რომ ძვლებივით
ხრავდა
და აიეტი ედგა სარდლადა.
დღეს სხვა ხომალდთა არის რიალი,
სულ სხვა ნაპირი ლურჯი მეგულვის
და თვინიერი, ნაპერწკლიანი
მოედინება ჩემი ენგური.

## ჰყივის მამალი

ყივილით ცისკარს კაწრავს მამალი
და ზეცას ყელზე კენტ ვარსკვლავს
შეხსნის,
შეკრთება ნისლი, კლდეზე მავალი
და იმშუშნება სიზმარში რეჩხი.
ბრწყინავს გალის ზღვა ცისკრით
ბარდნილი,
(გარს ლამპიონთა შუქი არტყია),
თითქოს ბუდიდან გადმოვარდნილი
ერთი უმწეო, თოთო ბარტყია.
ჰყივის მამალი ყელმოღერილი,
განთიადების ერთი ქადაგი
და გადაიფენს ბაგეზე ღიმილს
ჩემი კოლხეთის მყუდრო ალაგი.
და ფრინველივით კრთება გალის ზღვა
და ენაზება შორით დაფიონს,
მსურს ხელისგულზე ფრთხილად
დავისვა
და ფრინველივით გადავაფრინო.

## შეხვედრა

ჩამოთოვლილი ეს მთათა კალთა
როგორ ჰგავს ყრმობის სიზმრის
ანაბეჭდს,
ღგება ენგური კაშხალის კართან,
შეგუებული ბედს და განაჩენს.
რა საოცარი წუთია მართლაც,
სუსტსა და ძლიერს ჟამი არ არჩევს,
აქ დაიწყება ვარსკვლავთა ბარდნა,
რომ კიდევ ერთი ლექსი გადარჩეს.
აქ დაიწყება და სიზმრებს ჩემსას
შემოეხვევა ცისფერი კალთა,
ძნელი ყოფილა, ვისაც კი ესმის,
ორი მდინარის შეხვედრა, მართლაც.
აქ დაიწყება, მადლობა გამჩენს!..
და იდენს შუქი ისე, ვით სისხლი,
რომ კიდევ ერთი სიმღერა დარჩეს
ეპოქისა და პოეტის ღირსი.

## არც გვირილებით, არც ზამბახებით...

არც გვირილებით, არც ზამბახებით
და არცა კიდევ ქრიზანთემებით,
მხოლოდ ვარსკვლავთა თვალთა
გახელით —.
მე შენს მშვენიერ ცას ვათენებდი.
შენზე მუდარით,
შენზე ოცნებით,
შენზე კრძალვით და შენზე ვედრებით,
შენზე თრთოლვით და შენზე
ლოცვებით—
შეუმჩნევლად ასე ვბერდები.
ველზე გაბნეულ ველურ ბალახთა
მიუსაფრობით, შეუმჩნევლობით,
მუდამ,
ყოველთვის,
ყველგან,
მარადჟამს —
შენს ერთგულებას ასე ვჩემობდი.
წავიდეთ ახლა, ვიდინოთ ერთად
წავიდეთ ახლა, ავმაღლდეთ ცამდე,
მე ვიყავ შენი სიმრავლე ფერთა
და ამღერება მე ასე ვცადე.
არ ვარ მძებნელი მე უცხო რამის,
მწამს, უკვდავება ახლოა, აქვე...
დრო მოვა, როგორც ცისკრის
ვარსკვლავი,
შეუმჩნეველად და ჩუმად ჩავქრე.

## სინათლე

ისე ჯიუტი და ისე კერპი,
ვით წინაპარი ვინმე წარმართი,
ცხოვრებას ჩემსას მე ტანჯვით ვწერდი
და ღმერთს სინათლე ასე წავართვი.
მომირთმევია კოლხელს ეს გული,
მწესა და ამაყს ისე, ვით წათეს,
ბევრი რამ არის ჩემში ენგურის,
რომელიც მხოლოდ წამით თუ წათვლემს.
მაინც მამულის მმართებს ბევრი რამ,
ჩემთვის არაფრის არ ვარ მთხოვნელი
შენზე მლოცველი ერთი ბერი ვარ,
მოუსვენარი, ვით ათონელი.
ჩემი სიმაღლე მარად შენშია,
ასე ნათდება მზეი მომავლის,
გაბრწყინებული ხარ ეკლესია,
მზით ნაწვიმარი, მზით ნათოვარი.
აღარ არსებობს ციხე, სიმაღლე
აუღებელი, დაუცემელი,
თეთრი ენგური კოლხეთს მიაღწევს,
მწყალობელი და ნათლისმცემელი.
ღმერთო, მაცადე სულ ცოტა კიდევ,
მალე დადგება მკათათვის რთველი,
როგორც ავგაროზს, შენს ყელზე ვკიდებ
ოცნების რიდეს მე, ჯუმართელი.

## ეპილოგი

მე კაცურ კაცთა მივყევ ნაკვალევს,
ბევრი ძვირფასი დღე რომ შემძინა,
კოლხეთის ცაზე ცისკრის ვარსკვლავებს
აწკრიალებდა ქარი თეთრ მძივად.
ჩამომიქროლა დილამ მტრედივით
და მოშრიალე ფრთები შემახო,
მენახე მუდამ მზით დასეტყვილი,
საქართველოის მწვანე ვენახო.
ბევრი სიკეთის ვპოვე სათავე,
ბევრი ლამაზი ვნახე საწყისი,
ყველა საჩემო საქმედ ჩავთვალე
და ისე როგორც ოქროს საწმისი,
მსურს გავაბრწყინო და გავაღმერთო.
ჰა, ცისარტყელა ენგურთან მიწვა,
ცეცხლი, რომელიც ამირანს ენთო,
ისევ ამშვენებს კოლხეთის მიწას.



# პაპა ივანე

მოხუცდა ივანე ნაცვლიშვილი? აბა, რატომ შეეპარა სისუსტე მუხლებში, თითქოს მკლავშიაც დააკლდა ძალა. ამ ბოლო დროს ცხენის მოვლაც გაუჭირდა და გუთნის დევნაც. ამიტომაც იყო, ცოლმა და შვილებმა საშველი რომ არ მისცეს, გინდა თუ არა, ეგ შენი ცხენი, გუთანი და ორთვალა ვინმე ახალგაზრდას უნდა გადაულოცოო.

ეებ, ადვილად იტყვის ენა! სამოცდაათ წელს მიატანა პაპა ივანემ, ვინ მოთვლის, რამდენი ხანია ვაზებს შორის დაატარებს გუთანს, ცხენსაც უვლის და თავისი ორთვალათიც ეზიდება ხოლმე წყალს. ახლა კი ადექი და ვიღაცას გადაულოცე ყველაფერიო! ეებ, მართლაც რომ ადვილად იტყვის ყველაფერს ენა!

დგას პაპა თავისი ორთვალის წინ. გაჰყურებს უკიდეგანო ზვრებს და ფიქრობს. ცხენი იქვე დაფრუტუნობს, ზოგჯერ თავს ახწევს და პატრონს დიდრონი, წყლიანი თვალებით შესცქერის, თითქოს რაღაცას უგრძნობს გული ამ დალოცვილს.

— მაშ უნდა გადააბარო ყველაფერი? — მეორედ თუ მესამედ ეკითხება ივანეს გიორგი ვარამაშვილი.

— ვაზის ძირებში ამოდენა ყამირი რო რჩება, ვინ უნდა გამოხნას? — პასუხის ნაცვლად თვითონვე იძლევა შეკითხვას ივანე ნაცვლიშვილი.

— ვინა? — გიორგი ქეჩოს იქექავს, — ამ საქმეში ხელი გაქვს გაწაფული, მაგრამ სხვებიც გამოჩნდებიან, ისინი გამოხნავენ...

გივი აკოფაშვილის რგოლში, რომელშიც პაპა ივანე ირიცხება, ოცდაათი კაცია. მათ შორის ივანე ნაცვლიშვილის ვაჟები გივი და ზაურიც არიან. ვინ იცის, იქნებ სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა იკისროს მამის საქმე!

ზამთარია. მეათე ხუთწლედის პირველი ზამთარი. ვენახში სამუშაოს რა გამოლევს? გვიან შემოდგომაზე და ზამთრის თბილ დღეებში ვაზის რგვაც შეიძლება და სხვა სამუშაოების ჩატარებაც. მევენახეები ზვარში გაკრეფილან: მერგოლურიც აქ არის და რგოლის სხვა წევრებიც მხარდამხარ შეჭიდებიან მეჩხერიანობასთან ბრძოლას.

შესვენებისას ყველა ისევ ივანე ნაცვლიშვილის ორთვალასთან იყრის თავს. იქ ბიდონით წყალი ეგულებათ.

— გაძლებ უცხენოდ? — ეშმაკურად კითხულობს ვიღაცა.

— რაღა დროს ცხენია! — ამას ისე, სიტყვის მოსაჭრელად ამბობს ივანე ნაცვლიშვილი. ამბობს, თორემ ძალიან კარგადაც იცის, რომ ბრიგადაში ჯერ კიდევ გამოადგებათ ცხენიცა და გუთანიც. ტრაქტორი რომ რიგებს შორის ჩაივლის, ვაზის ძირებთან დაკოშტებული მიწა რჩება. ხელით უნდა გამობარო მიწა, რომ ვაზის ფესვები არ დაზიანდეს. ეს კი დიდ დროსა და მუშახელს მოითხოვს. რქანაყარი ვაზას გასალაღებლად ჯერჯერობით ისევ ცხენი და ერთხაზნისიანი გუთანი ადგებათ ბრიგადაში. დაუვლი და მავნე ბალახსაც მოსპობ, ბელტებსაც დაშლი და შვილივით ნაზარდ ვაზის ძირში ქვიშასავით გააფხვიერებ ბარაქიან მიწას.

ბარაქიანს? აბა რაღა ბარაქა დაადგება მიწას, თუ შარშანდელივით იმძლავრა გვალვამ და მთელი ძალა და ჟუჟუთი გამოეცალა ამ დალოცვილს?!

გვალვის გახსენებამ ახალი სატკივარი აუშალა ძველ მევენახეს. აუშალა და შარშანდელი ავადმოსაგონარი ამბავი გაახსენა.

მაისი იდგა. ვენახში საქმე მოითავა თუ არა, დრო იხელთა ივანემ. ერთი დღით იხელთა დრო. გულმა აღარ გაუძლო, ფეხი დაჰკრა და რუსთავში გათხოვილ ქალიშვილთან გაქანდა. არა, ქალიშვილის ნახვაც ენატრებოდა, მაგრამ ხაცა სიმართლეა, შვილიშვილის ნახვა უფრო სწყუროდა.





● ივანე ნაცვლიშვილი (მარჯვნივ) და მისი მეგობრები.
● დილით.
● ივანე და მისი ვაჟი.

მეორე დღეს გვიან დაბრუნდა შინ. სოფელს ეძინა. შეაღო კარი და ელდა ეცა. თვალებში შეატყო ცოლს, გამოხედვაში შეატყო, რომ რაღაც ცუდი ამბავი მომხდარიყო. გული გადაუქანდა მოხუცს.

— იტყვი თუ არა, ქალო?! — კუშტად ჩაილაპარაკა ივანემ.

— დავისეტყვეთ.

ვაი დედასა! გათენიიდან შებინდებამდე მუხლს არა ხრიდნენ, მკლავს არ ახვენებდნენ, გაალაღეს, წელგამართულ ვაზზე უხვი მოსავლის საფუძველი ჩაჰყარეს და დავისეტყვეთო?! ყველაფერი წყალში ჩაიყარა?!

ივანე გატრიალდა. ეზოში გავიდა, უსიტყვოდ გამოიყვანა ცხენი. ხმა არავის გაუღია. იცოდნენ, ვერაფერს გააწყობდნენ. ამგვარი მევენახის შეჩერება შეუძლებელი იყო.

ცხენდაცხენ მიადგა სეტყვისაგან დალეწილ ზვარს ივანე. ჩამოქვეითდა, წელში წახრილმა მთვარის სინათლეზე გამოცდილი დასტაქარივით დაავლო თვალი ვაზს.

უცბად ფეხის ხმა შემოესმა. აიხედა, თავზე მერგოლური წამოსდგომოდა.

— ხვალვე უნდა შევწამლოთ.

— ხვალვე კი არა, რამდენიმე საათში უნდა დავიწყოთ შეწამვლა! — მაშინვე მიაგება ივანემ სიტყვა ნირწამხდარ გივი აკოფაშვილს.

შეწამვლა სეტყვისაგან ჭრილობებგახსნილი ვაზის ერთადერთი გადარჩენის საშუალება იყო. შემოდგომის მოსავლის გადარჩენისათვის ახლავე უნდა ეღონათ რაიმე.

ახეა, უბედურება ბედურება მოსდევს ხოლმე, დასტყუეს შემდეგ ახლა გვალვამ იმძლავრა. ... ცელის ... ... ... და დაიღია მტევნები.

გაუჭირდა კახეთს და მთელი საქართველო წამოდგა ფეხზე. მევენახეთა მრავალათასიან არმიაში ქუდზე კაცი გამოვიდა ძმათა საშველად.

ცისტერნებით ეზიდებოდნენ სარწყავ წყალს. აბა, რა გული გაუძლებდა, ამ ბრძოლაში თავისი ცხენითა და ორთვალათი ილებდა მონაწილეობას ივანე.

ახლა კი... ახლა კი ეს ცხენიც, ეს ორთვალაც, აგერ ის გუთანიც სხვებს უნდა გადააბაროს?

ივანე ნაცვლიშვილს გააჯრუოლა. ახლაღა იგრძნო, რომ შეუძლოდ იყო. ავადმყოფობა რამდენიმე დღე მიეძალა. გულს არ იტეხდა. ქადაგად დაცემულ ახლობლებს ღიმილით აჩერებდა:

— მოიცათ, ხუთი წელი სამამულო ომში ვიყავი და თითი რა არის, თითიც კი არ წამომტკიებია. რა მოხდა, ორ დღეში წამოვდგები ფეხზე.

ახე გაგიმართლდეთ ყველაფერი! წამოდგა მევენახე და ახლაღა მიხვდა, რომ მუხლებში შეპარული სისუსტე და მკლავში ძალის გამოლევა ჯანში შეპარული ავადმყოფობის ბრალი ყოფილა. ისევ მხნედ და ძველებური ძალით შეეჭიდა საქმეს ივანე ნაცვლიშვილი.

იმ დღეს კოლმეურნეობაში საგანგებო კრება იყო მოწვეული. მთელმა სოფელმა თავი მოიყარა. საჯაროდ უნდა განეხილათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში".

იმსჯელეს. ამომწურავად და ღრმად, გულითა და გატაცებით იმსჯელეს. აქაც, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისათვის. კრების მსჯელობის ერთ-ერთი საკითხი მეჩხერიანობასთან შეუპოვარი ბრძოლის საკითხი იყო. რამდენიმე ხნის წინ ჩუმლაყში რესპუბლიკის მევენახეთა შეკრება გაიმართა. ის დღეები კარგად ახსოვს ივანეს. აი, სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ საყოველთაო ბრძოლა გამოეცხადებინათ მეჩხერიანობის წინააღმდეგ. ეს საკითხი ახლა უფრო გაღრმავდა და დღის წესრიგში დადგა. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? ახლო მომავალში ქართველმა მევენახეებმა სამშობლოს ერთ-ნახევარჯერ მეტი ტონა ყურძენი უნდა მისცენ. მოდი და მეჩხერიანი ვენახებით შეეჭიდე ამ საშვილიშვილო საქმეს.

კრებაზე სათანადო დასკვნები გამოიტანეს, სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს.

ჩუმლაყელთა ზვრებში ისევ ხალხმრავლობაა. მევენახეები მადლიანი ხელით წლევანდელი უხვი მოსავლის ბალავარს ყრიან. ახეა, ბრძოლა ზამთრიდანვე უნდა დაიწყო, რომ ბარაქიანი შემოდგომა დაიყენო.

მეცხრე ბრიგადის ზვრების ბოლოში ორთვალა დგას, ორთვალაზე ანკარა წყლით სავსე ბიდონი წამოყუდებულა. იქვე ცხენია მიბმული. კიდევ ცოტა ხანი და ამ ცხენს უკან გუთანს გამოუბამს ივანე ნაცვლიშვილი. გამოუბამს და ძველებური გატაცებითა და ჟინით გაატარებს გალაღებული ვაზების ძირში.

შარშან თუ ჰექტარზე 71 ცენტნერის ნაცვლად 97 ცენტნერი ყურძენი მიიღეს — წელს მეტია მისაღები. ბრიგადამ 2654 ცენტნერის ნაცვლად 3557 ცენტნერი ყურძენი ჩააბარა და წელს უფრო ბარაქიანი მოსავლით უნდა ისახელონ თავი.

ამ სახახელო საქმეში კი ივანემაც უნდა შეიცნოს თავისი წვლილი. ჯერ ხელითა და შესაწამლი აპარატით მოითავებს საქმეს, მერე კი ცხენითა და გუთნით.

ვერა და ვერ შეელია ცხენსა და გუთანს მოხუცი მეზვრე — სოციალისტური შრომის გმირი ივანე ნაცვლიშვილი.

**ივერი ტაბიძე**

## უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

ბიძაჩემის ხსოვნას

ამბობენ::
კაცი თავისთვის სჯიდა,
ღმერთი კი...
სულ სხვას ფიქრობდა ღმერთი.
თითქოს შენი ხმა მომესმა ჭიდან
და შემითრთოლდა
დამწვარი მკერდი.
სევდა ჩამოაქვთ აქ წვიმის წვეთებს,
და შორეული ქვითინი ისმის...
ყელს მაბჯენია
მახვილის წვეტი
და სადაცაა იფეთქებს სისხლი.
ან რატომ დუმდი,
ან რატომ დუმდა
შენი საფლავი, რომელსაც ვუმზერ...
ვფიქრობ,
იმ წუთსაც მოძებნა უნდა,
რომ იდგე
სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე.
ო, ალბათ სხვასაც
ნაღველი კორტნის
და ყვავილებიც გაყრია ბლომად...
მაინც მიჭირავს
ძახველის ტოტი,
და ძახველივით მიჭირავს გლოვა.
გავხედავ იქეთ,
იმ დახშულ წკვარამს,
სადაც მეუფებს სიბნელის ზოლი...
იმ გზაზე მაინც
თუ ვინმე წავა,
შენსავით უნდა წავიდეს ბრძოლით.
გადადის დარდი სულიდან სულში,
ამ დარდს თავისი ცრემლები მოსდევს,
ამიტომ ჩავდე
ყვავილთა წნულში,
ცრემლი და...
აქვე დაგიდე ლოდზე.
მუხლს რომ გიდრეკენ
სამშობლოს მთები,
ეს არ მიიღო მარტოდენ შენად...
ეს არის ჯავრი
მოტეხილ ფრთების,
ეს არის —
ერთი სამარის შველა.
საღამოისას ემვება ბინდი,
შენ კი...
ამაყი,
მარტოკა რჩები,
იქნებ გჭირდება
ყვავილი მინდვრის,
ეგებ სუნთქვა გჭირდება ჩემი.
არ ვიცი,
მაგრამ თუ რამე შევძელ,
თავს არ შეგაწყენ მარტოდენ გლოვით...
ჯერ კი...
ჯერ თუმცა სხვა საშველს ვეძებ,
— რაც შემიძლია ეს არის მგონი.
...სევდა ჩამოაქვთ
აქ წვიმის წვეთებს,
და შორეული ქვითინი ისმის...
ყელს მაბჯენია
მახვილის წვეტი
და სადაცაა იფეთქებს სისხლი.

**ნოდარ ნარსია**

## უცნობი არ ხარ...

დაღვრილი სისხლი გადიდებს, გშვენის,
მე კარგად ვიცი შენ ახლა ვინც ხარ,
დაეცი, მაგრამ სამარე შენი
მტრისთვის მიუვალ სიმაგრედ იქცა.
ის იქცა, ახე ყველაფრის შემძლედ,
რომ შერჩენოდა სიმწვანე ედემს...
ვიცი, ცხრა მაისს აფრენილ მერცხლებს
შენი ღიმილიც აქონდა მხემდე.
რაც უფრო სწრაფად მიდიან დღენი,
ეს დროც მით უფრო დიდებით გამხელს...
მეამაყება, სიცოცხლე შენი
რომ მტლად დაედო მამულის სახელს.
დღეს ამ მიწაზე ამაყად დგახარ,
ირგვლივ მშვიდობის ქარები ჰქრიან,
შენ არავისთვის უცნობი არ ხარ,
შენ ახლა შენი სახელი გქვია.

**თამაზ კანდელაკი**

ლექსი





ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბადების 100 წლისთავი

ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას-ძე კეცხოველი მიეკუთვნება იმ შესანიშნავ ადამიანებს, რომელთა მთელი შეგნება გამსჭვალული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით. ლადო კეცხოველი იყო მგზნებარე რევოლუციონერი, ამიერკავკასიაში მარქსისტულ-ლენინური იდეების ერთ-ერთი დაუცხრომელი მქადაგებელი, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შესანიშნავი ორგანიზატორი, უბადლო კონსპირატორი, რევოლუციის უშიშარი რაინდი, მეფის ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, მშრომელი ხალხის საქმისათვის ბოლომდე თავდადებული მებრძოლი.

ლადო კეცხოველი იბრძოდა იმ რევოლუციონერთა რიგებში, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ლენინის ხელმძღვანელობით მაღლა სწევდნენ რევოლუციური მოძრაობის დროშას, რაზმავდნენ მუშათა კლასს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლადო კეცხოველი მეფის ჯალათებმა 1903 წლის 30 აგვისტოს გამოასალმეს სიცოცხლეს. იგი მაშინ 27 წლისა იყო. ეს ხანა ადამიანის ძალთა გაფურჩქვნის ხანაა და სწორედ მაშინ შეწყვიტეს ჯალათებმა ამ მგზნებარე და დაუცხრომელი ადამიანის გულის ფეთქვა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა რევოლუციონერმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ისტორიაში. აი, ამიტომაც არის, რომ ლადო კეცხოველმა სამუდამო ხელთუქმნელი ძეგლი დაიმკვიდრა ხალხის გულში.

ლადო კეცხოველი დაიბადა 1876 წლის 14 იანვარს სამხრეთ ოსეთის სოფელ თლიში, სადაც ლადოს მამა ზაქარია მღვდლად მსახურობდა. 7 წლის ლადო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა იგი თავისი გულისხმიერებით, ხასიათის სიმტკიცით, დასახული მიზნისათვის დაუცხრომელი ბრძოლით. ხასიათის ეს თვისებები ლადოს თავისი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

გორის სასულიერო სასწავლებელში გაეცნო ლადო კეცხოველი რევოლუციურ ლიტერატურას, მუშათა მოძრაობის საკითხებს და სამუდამოდ დაუკავშირდა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1891 წელს ლადო კეცხოველი შედის თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს სემინარისტთა ლიტერატურულ წრეში. ამ წრეს ცნობილი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი ხელმძღვანელობდა. ლადო გულმოდგინედ სწავლობდა ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევისა და სხვათა ნაწარმოებებს, რომლებიც ღრმა გავლენას ახდენდნენ ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სემინარიაში გამეფებული იეზუიტური რეჟიმი და გამუდმებული თვალთვალი წრეში გაერთიანებულ ახალგაზრდებს აიძულებდა, რომ მალულად შეკრებილიყვნენ. ამ რეჟიმით აღშფოთებულმა ლადო კეცხოველმა 1893 წლის 30 ნოემბერს მოაწყო სემინარიელთა პირველი საპროტესტო კრება, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაფიცვა გამოეცხადებინათ სემინარიაში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ. გაფიცვა პირველ დეკემბერს დაიწყო და ოთხ დღეს გაგრძელდა. გაფიცვას მოჰყვა სემინარიის ერთი თვით დაკეტვა, თავისუფლად მოაზროვნე მოსწავლეთა დევნა და რეპრესიები. სასწავლებლიდან 87 სემინარიელი გაირიცხა ე. წ. „მგლის ბილეთით", მათგან ოცდახამს, მათ შორის გაფიცვის ორგანიზატორს, ლადო კეცხოველს, აეკრძალათ თბილისში ცხოვრება.

თბილისიდან გასახლებული ლადო 1893 წლის დეკემბრიდან 1894 წლის შემოდგომამდე თავის მშობლიურ სოფელ ტყვიავში ცხოვრობდა, შემდეგ კი კიევში გაემგზავრა და იქაურ სასულიერო სემინარიაში შევიდა. 1894-1896 წლების განმავლობაში ლადო აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, რომლებმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობის მოწვევაში.

ლადო კეცხოველის რევოლუციური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა კიევის ჟანდარმერიას. 1896 წლის აპრილში იგი შეიპყრეს და სამი თვის პატიმრობის შემდეგ, ორი წლის ვადით სამშობლოში გამოაძევეს. 1897 წლის შემოდგომაზე ლადო კეცხოველი თავს აღწევს პოლიციის ზედამხედველობას და ფარულ ცხოვრებას იწყებს. აქედან იწყება ლადო კეცხოველის როგორც პროფესიული რევოლუციონერის საქმიანობა. იმავე წელს შედის იგი პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში — „მესამე დასში".

ამ დროიდან ჩაისახა და ჩამოყალიბდა ამ ორგანიზაციაში ქართველი სოციალ-დემოკრატების მარქსისტულ-ლენინური ფრთა მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძის, ალექსანდრე წულუკიძის, იოსებ ჯუღაშვილისა და სხვათა შემადგენლობით. ამ ფრთამ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ იმისათვის, რომ შეექმნათ არალეგალური რევოლუციური გაზეთი, საწრეო მუშაობიდან გადასულიყვნენ მასობრივ აგიტაციაზე, გაეჩაღებინათ მუშათა კლასის აშკარა რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ლადო კეცხოველმა. იგი სამუშაოდ მოეწყო თბილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, კარგად შეისწავლა სასტამბო საქმე და ფარულად დაბეჭდა რამდენიმე რევოლუციური ბროშურა და პროკლამაცია.

ლადო კეცხოველი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში, უნარიანად ათავსებდა ღრმა კონსპირაციას ყოველდღიურ ლეგალურ მუშაობასთან, მეფის თვითმპყრობელობის სისასტიკის პირობებში აწყობდა ყველაზე რთულ და ყველაზე ძნელ რევოლუციურ ღონისძიებებს. იგი იყო 1899 წლის მაისობისა და თბილისის „კონკის" მუშების გაფიცვის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის გადაწყვეტილებით, 1900 წლის იანვარში ლადო კეცხოველი ბაქოში მიემგზავრება. მისი ჩასვლის შემდეგ ბაქოში საგრძნობლად გამოცოცხლდა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული მუშაობა. 1901 წელს ლადო აყალიბებს ლენინურ-ისკრულ მიმართულების ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. თავის არსებობის პირველი დღიდანვე ეს ორგანიზაცია მთლიანად ლენინურ პოზიციებზე დადგა და გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა „ეკონომისტებისა" და „ლეგალური მარქსისტების" წინააღმდეგ.



უდიდესია ლადო კეცხოველის დამსახურება არალეგალური ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის შექმნის საქმეში. 1901 წელს ლადომ ბაქოში მოაწყო ფარული სტამბა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ სამხრეთ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. ამ სტამბაში, რომელიც ცნობილი იყო „ნინას" სახელით, 1901 წლის სექტემბერში გამოსვლა დაიწყო ქართულმა არალეგალურმა მუშათა გაზეთმა „ბრძოლამ", რომელიც პირველი რევოლუციური ლენინურ-ისკრული გაზეთი იყო კავკასიაში. „ბრძოლამ" უდიდესი როლი შეასრულა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში.

ლადო კეცხოველი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ მებრძოლი გაზეთის მუშაობას. იგი ერთდროულად ამ გაზეთის რედაქტორიც იყო, კორექტორიც, ასოთამწყობიც, მბეჭდავიცა და ავტორიც.

ლადო კეცხოველმა მჭიდრო კავშირი დაამყარებინა ემიგრაციაში მყოფ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან. ვლადიმერ ილიას-ძის დავალებით ლადო მის მიერ მოწყობილ არალეგალური სტამბა „ნინაში" ამრავლებდა საზღვარგარეთიდან მატრიცების სახით გადმოგზავნილ ლენინურ გაზეთ „ისკრას". ამავე სტამბაში გადაიბეჭდა ლენინის შრომები „სოფლის ღარიბებს", „რა ვაკეთოთ?" და სხვა. აქ იბეჭდებოდა „ისკრის" ცალკეული სტატიები და უამრავი პროკლამაციები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. საკმარისია ითქვას, რომ ამ სტამბაში დაიბეჭდა და გავრცელდა მილიონზე მეტი ეგზემპლარი სხვადასხვა რევოლუციური ლიტერატურა.

ლადო კეცხოველის დაუშრეტელი ენერგიისა და მრავალმხრივი რევოლუციური მოღვაწეობის მეოხებით, ბაქო იმ ხანებში გადაიქცა ბოლშევიზმის ციტადელად და ლენინისათვის იქცა მძლავრ დასაყრდენად სამხრეთ რუსეთში ჭეშმარიტად მარქსისტულ-რევოლუციური მებრძოლი პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად.

მეფის ხელისუფლება გრძნობდა თუ რა დაუძინებელი მტერი ჰყავდა მას ლადო კეცხოველის სახით და გაშმაგებით დაეძებდა მის კვალს.

1902 წლის 2 სექტემბერს ლადო ბაქოში დააპატიმრეს, შემდეგ კი თბილისში გადმოგზავნეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მან ციხეშიაც მტკიცე, შეუდრეკელი რევოლუციონერისათვის შესაფერისად ეჭირა თავი დაკითხვების დროს. ლადოს აწამებდნენ — კარცერში სვამდნენ, ჭკვიანებს ართმევდნენ, რათა არ დაეძინა, წიგნების კითხვას უკრძალავდნენ, არ გაჰყავდათ სასეირნოდ; ყველაფერ ამას ჟანდარმერია იმისათვის აკეთებდა, რომ გაეტეხა ეს უდრეკი კაცი და აეძულებინა გაეცა კონსპირაცია, ამხანაგები, ორგანიზაცია, მაგრამ ლადო სულმდაბალი როდი იყო, ვერაფრით ვერ მოსტეხეს რევოლუციის ამ კეთილშობილი რაინდის სული და ნებისყოფა, ვერ მოდრიკეს გამობრძმედილი ლენინელის ძალა და ძლიერება.

მეფის პოლიციამ როდესაც დაინახა, რომ რევოლუციის ამ უშიშარი ჯარისკაცის გატეხა რეპრესიებით შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა მისი ფიზიკურად განადგურება. ეს საზიზღარი განაჩენი 1903 წლის 30 აგვისტოს განახორციელეს, ამ დღეს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე ციხის ეზო-კარაში მეფის ჯალათის მიერ ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ გაგმირა ლადო კეცხოველის მგზნებარე გული, რომელიც დაუღალავად ძგერდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ჯალათებმა ლადო კეცხოველის გვამისაც კი შეეშინდათ და იგი ქურდულად დამარხეს ქალაქის გარეთ, სამხედრო სასაფლაოზე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა ლადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლის გამო გამოუშვეს პროკლამაციები, რომლებშიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ცარიზმს და ყველა მშრომელს მოუწოდებდნენ ებრძოლათ იმ საქმისათვის, რასაც ლადო კეცხოველი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახურებოდა. ბაქოს კომიტეტის პროკლამაციას ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა მაქსიმ გორკის ცნობილი სიტყვები: „ჰო, შევარდენო, შეუპოვარო, მტრებთან ბრძოლაში დაცლილო სისხლით"...

ლადო კეცხოველის ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გაიმარჯვა იმ საქმემ, რომელსაც ახე წარმატებით აშენებს თავისუფალი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ უფრო მეტი სიყვარულით იგონებს დღეს რევოლუციის ამ კეთილშობილ რაინდს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხი, მისი მშობლიური ლენინური პარტია — თავისი XXV ყრილობისათვის მზადების წინადღეებში.

მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ურყევი, უშიშარი მებრძოლის, რევოლუციის კეთილშობილი რაინდის ლადო კეცხოველის მომხიბლავი სახე და მისი საქმენი საამაყონი ყოველთვის ზრდიდა და კვლავაც აღზრდის კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლების მრავალ თაობებს.

სავსებით სწორია ჩვენი სახელოვანი რევოლუციონერი პოეტი იროდიონ ევდოშვილი, როდესაც ლადო კეცხოველის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში ამბობს, რომ გმირის საქმენი „სადიდებელნი არა კვდებიან, გმირის ადგილას თავგანწირულნი ისევ გმირები იბადებიან".

ანტონ კელენჯერიძე

# ვაჟკაცობის სამჭედლოში

—ეს ბიჭუნები სამხედრო მოსამსახურეები როდი არიან. ისინი სხვა თავის თანატოლებივით ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მერხებს უსხედან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჯარისკაცებივით ცხოვრობენ. აქვთ შესანიშნავი საცხოვრებელი ბინა, კარგად მოწყობილი საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები... ამთავითვე ეჩვევიან სამხედრო ცხოვრების სიმკაცრეს, ამთავითვე იკაჟებენ სულსა და სხეულს მომავალი დიდი საქმისათვის. ეს დიდი საქმე კი უწმინდესზე უწმინდესია. განა რა უნდა იყოს იმაზე უფრო დიდი საფიქრებელი და საზრუნავი — სამშობლოს სამსახური, მისი დაცვა და მოვლა რომ ჰქვია!

ქალაქ თბილისის გენერალ კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს დღედამ ზრუნვას არ აკლებენ გამოცდილი სამხედრო პირები და მასწავლებლები. ამ სკოლას სათავეში უდგას მრავალჭირნახული, სამხედრო საქმის ღრმა მცოდნე, მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ გულითადი ადამიანი, გადამდგარი გენერალი ვლადიმერ ხუბულური. ვისაც ამ კაცთან უმსახურია, ბევრი კარგი რამ შეუძენია. ახლაც ბევრ კარგს შეიძენენ მისგან ეს ბიჭუნებიც, — მომავალი სამხედრო მოსამსახურეები, მომავალი ოფიცრები, გენერალები და, ვინ იცის, იქნებ მარშლებიც. განა გენერალი კონსტანტინე ლესელიძეც ერთი სოფლელი ბიჭი არ იყო, განა პატარობისას მან კი იცოდა რუსული ენა? მაგრამ ახლა ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი სახელი დატოვა მან სამამულო ომის ისტორიაში, საბჭოთა ხალხის ხსოვნაში.

სკოლა-ინტერნატის ერთ-ერთ სტენდზე წერია:

„ოფიცრობა — გმირული პროფესიაა".

ღრმა აზრს შეიცავს ეს სიტყვები. იქვე ვკითხულობთ: „სამხედრო სასწავლებელი ოცნების პირველი საფეხურია". დიახ, ამ პატარა ბიჭების ოცნებაა იყვნენ გმირული პროფესიის ადამიანები. წინ სწავლის დიდი, მძიმე, მაგრამ ნათელი გზებია.

შეხედავ ამ ბიჭებს და გული სიამაყით გევსება, რომ სახელოვან წინაპრებს სახელოვანი თაობა ენაცვლება.

უაღრესად განვითარებული დღევანდელი ტექნიკა, მეცნიერების უმაგალითო მიღწევები ყოველი სამხედრო მოსამსახურისაგან მოითხოვენ ყოველმხრივ ღრმა ცოდნას.

სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს კიდევ მრავალი წლის მეცადინეობა მოუხდებათ სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში, ვიდრე ისინი სასურველ მიზანს მიაღწევენ, ვიდრე გმირული პროფესიის წოდებას დაიმსახურებენ.



სწავლა, სიბეჯითე და... ბავშვურ ცელქობასთან გამოთხოვება, დისციპლინა და სულის მხნეობა—აი, რა მოეთხოვებათ დღეს ამ ბიჭებს. და ისინიც მხნეობენ, ბეჯითად სწავლობენ. მათ ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი უპირველესი მოვალეობა, იციან, რომ ვაჟკაცობის სამჭედლოში არიან და აქედან მძლავრი და შეწყობილი ნაბიჯებით უნდა გასწიონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

ფ ო ტ ო ე ბ ზ ე: გენერალ კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები. ა. გოგოლაძის ფოტო





ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათია თბილისში სტუმარი ჩამოვიდეს და ხალხთა მეგობრობის მუზეუმს არ ეწ-ვიოს. შთაბეჭდილებათა წიგნი გამოჩენილ ადამიანთა ჩანაწერებითაა სავსე:

„მეტად ძვირფასია ჩემთვის მეგობრობის ეს მუზეუმი, ყველაზე ცოცხალი მუზეუმი, ვინაიდან სხვა სიტყვებით — მეგობრობა ყველაზე ცხოველმყოფელი და კეთილშობილურია ადამიანებისათვის. კონსტანტინე სიმონოვი".

„დიდებული დასაწყისია. ჩემი რწმენით, იქნება კიდევ უკეთესი. რასულ გამზათოვი".

„დარწმუნებული ვარ, რომ ხალხთა მეგობრობის მუზეუმები შეიქმნება ჩვენი სამშობლოს ყველა დიდსა და პატარა ქალაქში. მადლობას გიხდით იმ სიამოვნებისათვის, რომელიც აქ მომანიჭეთ. ევგენი დოლმატოვსკი".

ქართველი ხალხი მუდამ კეთილი გრძნობით არის გამსჭვალული მეზობლებისა და მეგობრებისადმი, ერთგული რუსთაველის იდეისა „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". ქართველთა მოსიყვარულე გული კარგად შენიშნეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა, რაც ამაღელვებელ სტრიქონებში გამოხატეს.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმში გარდა ამ დოკუმენტებისა, მდიდარი მასალაა თავმოყრილი რევოლუციამდელი საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ერების სახელოვან შვილთა ურთიერთობაზე. ჩვენს დროში ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ახლა გულითადად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი კოლექტივი, რაიონი, რესპუბლიკა. ოთხი ათეული წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან მოძმე უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეები. მეგობრობის მტკიცე სიმები აქვთ გაბმული ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს, ქუთაისელი მშრომელები ეჯიბრებიან კიროვაბადელ და ლენინაკანელ თანამოსაქმეებს.

მუზეუმში მზადდება ახალი სტენდები. ისინი ასახავენ ძმადნაფიცი ქალაქების — თბილისის, ტაშკენტის, რიგის, გორისა და მოსკოვის ოლქის რამენსკოეს, წითელწყაროსა და როსტოვის ოლქის აზოვის რაიონის მშრომელთა დიად მეგობრობას.

ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტად წრფელი გრძნობა მთელი ძალით დიდ სამამულო ომში გამოვლინდა. ხატოვნად თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა: „თუ ვილაპარაკებთ დიდი სამამულო ომის მთავარ გმირზე, ეს უკვდავი გმირია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები და ურღვევი ძმობით შეკავშირებული ხალხთა ერთსულოვანი ოჯახი".

მეგობრობის მუზეუმი განსაკუთრებით მდიდარია დიდი სამამულო ომის ეპოპეის ამსახველი მასალით. მრავალი ათასი ექსპონატი — საბრძოლო თუ შრომითი დიდების ძვირფასი რელიკვიები, გმირი ქალაქების წმიდათაწმიდა მიწა, სისხლით შეღებილი პარტიული თუ კომკავშირული ბილეთები, ტყვიით დაცხრილული ჯარისკაცური მუზარადები და კარდალები, ჟამთა სვლით გაყვითლებული საფრონტო გაზეთის ფურცლები, ფრონტელთა სამკუთხა ბარათები, ფოტოსურათები, საბრძოლო იარაღები და ორდენები — ყოველივე ამას ომის მძიმე წლებში გადავყავართ, ყოველივე ეს შეგვახსენებს უდიდეს განსაცდელსა და სიძნელეებს, რომლებიც ადამიანებმა დაძლიეს მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენით. ეს ჭეშმარიტად დასტურია იმისა, თუ რა ძალუძს სიყვარულს, ძმობას, მეგობრობას, ერთობას!

ათვალიერებთ მუზეუმის დარბაზებს და თვალნათლივ ხედავთ, რომ თითოეული ექსპონატი შერჩეულია გულისყურით, პატრიოტული სულისკვეთებითა და განწყობილებით, საქმისადმი სიყვარულით. აქ პატარა, წვრილმანი ნივთიც კი ცოცხალი ლეგენდაა, ნამდვილი მოთხრობაა ხალხის უკვდავ გმირობასა და შემართებაზე.

ექსპოზიცია მოგვითხრობს პატრიოტულ გზნებასა და აღმაფრენაზე, რომელმაც ომის პირველივე დღეებიდან მოიცვა ბრძოლებში გამობრძმედილი და ვაჟკაცობას ჩვეული ქართველი ხალხი. ყველა ისინი, როგორც ერთნი, აღდგნენ სამშობლოს დასაცავად. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ფრონტზე გაგზავნა თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი — 52.600 კომუნისტი. ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა 150 ათასმა კომკავშირელმა, უმრავლესობა ფრონტზე მოხალისედ წავიდა. მთლიანად ფრონტზე იბრძოდა 700 ათასამდე ქართველი — რესპუბლიკის მაშინდელი მოსახლეობის თითქმის ერთი მეხუთედი. მათ შორის 250 ათასი მებრძოლი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 137 საბჭოთა კავშირის გმირია.

ქართველებმა სხვა ეროვნების მებრძოლებთან ერთად კავკასიონიდან ბერლინამდე მისდიეს მტერს, ვიდრე იგი არ აღგავეს პირისაგან მიწის, ვიდრე რეიხსტაგზე გამარჯვების დროშა არააფრიალეს რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ.

თვალწინ ცოცხლდება გმირული ბრძოლის უბადლო ეპიზოდები. ლენინის ქალაქის ეპოპეის დროს ადამ ქავთარაძე გადაეფარა მტრის საცეცხლე ამბრაზურას. მოსკოვთან ბრძოლაში მხედრული მამაცობა გამოიჩინა გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძის დივიზიამ; ეს დივიზია ერთ-ერთი პირველი გარდაიქმნა გვარდიულად. არკადი გეგეშიძის საზღვაო-ქვეითი ჯარის ბატალიონმა სევასტოპოლის ბრძოლებში მტრის სამი პოლკი შემუსრა. მტერს მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველი შევარდნები — ოთარ ჩეჩელაშვილი და დავით ჯაბიძე...

1942 წლის აგვისტო. მტერი კავკასიის კარიბჭესთანაა. იმ მრისხანე ჟამს დიდი ანტიფაშისტური მიტინგი გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ფოტოპანო სახიერად, თვალნათლივ მოგვითხრობს ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე. სიტყვას ამბობენ აკადემიკოსები: ივანე ბერიტაშვილი, სიმონ ჯანაშია, პროფესორი კონსტანტინე ზავრიევი და სხვა ორატორები. დარბაზი სულგანაბული უსმენს მათ. საბრძოლო ფიცს სდებენ კავკასიის ხალხები — მტერი არ შემოუშვან მშობლიურ მიწაწყალზე. ისინი ბოლომდე თავიანთი სიტყვის ერთგულნი დარჩნენ. მტკიცედ გადაუღობეს მტერს გზა საბჭოთა ჯარებმა, ეროვნულმა დივიზიებმა. მტერს სწორუპოვარი ბრძოლები გაუმართა 394-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ.

ომის ქარცეცხლში იჭრებოდნენ კინოოპერატორები და ფოტოკორესპონდენტები. ფირზე აღუბეჭდავთ მრავალი ბრძოლის, მათ შორის კავკასიისათვის ბრძოლის — დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლის — შთამბეჭდავი ეპიზოდები. შთამომავლობას შემოუნახავს ეს დოკუმენტები და ახლა იგი ისტორიის კუთვნილებაა.



გ. ვარაზაშვილი იტალიელ პარტიზანებს შორის.



გენერალ კ. ლესელიძის პირადი ნივთები.



წითელარმიელ ვ. მღვდლიაშვილის სისხლიანი წიგნაკი.



გენერალ ნ. თავართქილაძის სტალინგრადის სიმბოლიური გასაღები.




წარწერა გ. ვარაზაშვილის საფლავზე იტალიაში.




მ. მეშველიშვილის ტყვიით გახვრეტილი კომკავშირული ბილეთი.



მფრინავ ნ. აბრამიშვილის ნივთები.

საინტერესოა ამ ბრძოლის ფინალი: საბჭოთა მთამსვლელთა ჯგუფი გაბრიელ და ბექნუ ხერგიანების წინამძღოლობით იალბუზზე ფაშისტური შტანდარტების ნაცვლად წითელ დროშას ამაგრებენ.

ქართველებმა თავი გამოიჩინეს პარტიზანულ ბრძოლებში. ლეგენდარული სიდორ კოვპაკის პარტიზანულ შენაერთში, რომელიც უკრაინაში მოქმედებდა, ფაშისტებს შიშის ზარს სცემდა დავით ბაქრაძის სახელი. ყირიმის მიწაზე მტერს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს პეტრე გვალიას თანამებრძოლებმა. იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიეკუთვნა ორ საბჭოთა მებრძოლს, მათ შორის ფორე მოსულიშვილს.

წინაპართა სახელოვან ტრადიციებს არ უღალატეს ქართველმა ქალებმა. სამშობლოს დასაცავად საქართველოდან 16 ათასი ქალი იბრძოდა. ზოია რუხაძის, თინა იოსებიძისა და სხვათა სახელები ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი.

დედის გლოვის დარბაზი. დარბაზში არაფერია, გარდა პორტრეტებისა. ნაღვლიანი თვალებით შემოგცქერიან ქართველი დედები, რომლებიც გმირებს უზრდიდნენ სამშობლოს. რაოდენ შთამბეჭდავია აქ ყველაფერი. უცებ ბნელდება და სამარისებური სიჩუმეს, მხოლოდ სამგლოვიარო მელოდია და დიქტორის ხმა არღვევს. შემაზრზენ, გულისამაჩუყებელ ფაქტს უცრემლოდ ვერ მოისმენ. ფრონტზე საქართველოდან წარგზავნილი ყოველი მესამე მებრძოლი დაიღუპა. ბევრმა ოჯახმა რამდენიმე წევრი დაკარგა. ზოგი კერა მთლიანად გაცივდა.

განუზომელია დედის გლოვა, ქვრივ-ობოლთა მწუხარება.

გმირმა დედამ ბარბარე ბახტაძემ თორმეტი შვილი გაზარდა. შვიდი ვაჟკაცი ფრონტზე გაისტუმრა, რომელთაგან ექვსმა სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი.

ნინო და ნიკოლოზ ლესელიძეები; ისტორია არ დაივიწყებს მათ სახელებს; ოთხი ვაჟი იბრძოდა ფრონტზე. სამი არ დაბრუნებულა. კონსტანტინე და ვიქტორი საბჭოთა კავშირის გმირები არიან. გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე მე-18 არმიას სარდლობდა, რომელმაც მტერს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. ამ არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

# [illegible]

ექსპონატები გვამცნობენ, რომ კონსტანტინე ლესელიძის მხედრულ სამსახურს მისი შვილი — პოლკოვნიკი ოთარ ლესელიძე განაგრძობს.

ფრონტზე წასული ხუთი ძმა კობაიძეებიდან მხოლოდ არსენი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ნიკოლოზი, შალვა, ივანე, სანდრო მამაცთა სიკვდილით დაეცნენ. არსენი სამი ათეული წელია სათავეში უდგას მშობლიურ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს ქვეყანაში. საკოლმეურნეო წარმოების თვალსაჩინო ორგანიზატორს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, არჩეულია ქვეყნის პარლამენტის წევრად.

...პელაგია პაპუაშვილი, ეფროსინე ბეჟლიანი, მარიამ არშბა.. აი, ის დედები, რომლებმაც სამშობლოს ყველაზე ძვირფასი რამ — შვილის სიცოცხლე შესწირეს.

მხედრულ გმირობას არ ჩამოუვარდებოდა ზურგში მშრომელთა სიმამაცე, სტენდები მოგვითხრობენ, რომ საქართველოს მრეწველობამ მოკლე დროში აითვისა 250 სახეობის სამხედრო პროდუქციის წარმოება, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, რომელიც ომის წლების პირმშოა, ფრონტზე გზავნიდა მძლავრ ავიაგამანადგურებლებს.

საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში 3,5 მილიარდი მანეთი შეიტანეს. მტერს მუსრს ავლებდნენ ამ დანაზოგით აგებული „საქართველოს კოლმეურნის“ კოლონის ტანკები და „საბჭოთა საქართველოს“ ესკადრილიის თვითმფრინავები. ფრონტზე სისტემატურად იგზავნებოდა თბილი ტანსაცმლით, ხილით, სურსათით და სხვა პროდუქტებით დატვირთული ეშელონები.

საბრძოლო მწყობრში თავიანთი ადგილი დაიკავეს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა. ისინი ფრონტელთა ხშირი სტუმრები იყვნენ. გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მშობლიური ჩემო მიწავ“, ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, იოსებ ნონეშვილის „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, ირაკლი თოიძის ცნობილი პლაკატი „დედა-სამშობლო გვიხმობს!“, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის ფერწერული ტილოები, კინოფილმები „გიორგი სააკაძე“, „ჯურღაის ფარი“, სპექტაკლები ვანიონ დარასელის „კიკვიძე“, ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“, გიორგი მდივნის „მოსკოვის კარიბჭესთან“. ფრონტებზე გამართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, ის მძლავრი სულიერი იარაღი იყო, მეომართა პატრიოტულ გრძნობებს რომ აღვივებდა.

ექსპოზიცია მთავრდება მასალებით, რომლებიც ასახავენ თუ როგორ ხორციელდება პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით.

მუზეუმის ფონდები დღითი დღე ივსება. მასალებს იღებენ ქვეყნის ყველა კუთხიდან, უცხოეთიდან. ომის ვეტერანები, წითელი კვალის მაძიებლები წარმოაჩენენ უცნობ გმირებს.

ჩერკასკის ოლქის იურპოლსკის საშუალო სკოლის მოსწავლეს ვიქტორ კოსტენკოს ტყის პირას, დანგრეულ სანგარში ჟანგიანი მასრა შეუნიშნავს. მასში აღმოჩნდა თბილისელი ზუმრათ ვეზირაძის ბარათი. ზუმრათი წერს, რომ მათი პარტიზანული რაზმი დაიღუპა, მასთან ერთად მხოლოდ ხუთი კაცი გადარჩა, მათ შორის — გიორგი საბაძე, გოდერძი ვარდნილაძე და ალექსანდრე აიდინიანი საქართველოდან არიან. შემდგომში ისინიც დაიღუპნენ. მუზეუმის თანამშრომლებმა მონახეს პარტიზანთა ახლობლები და დაადგინეს. მათი ბიოგრაფია.

საინტერესოა იტალიიდან მიღებული ალბომი, რომელიც ეძღვნება გიორგი ვარაზაშვილს — „კაპიტან მონტის“. ეს ალბომი სიყვარულით გაუფორმებიათ იტალიელ პარტიზანებს, ისინი არ ივიწყებენ საქართველოს შვილს, რომელმაც მათი სამშობლოს თავისუფლებისათვის სისხლი დაღვარა.

კასპის რაიონის სოფელ სამთავისის მკვიდრი თენგიზ უზნაძე და უკრაინელი კონსტანტინე ტერნოვოი ჰოსპიტალში დაძმობილდნენ. როცა თენგიზის მამა იქ შვილის წამოსაყვანად ჩავიდა, თან კონსტანტინეც წამოიყვანა. მას უზნაძის ოჯახში თავსევლებოდნენ. ტერნოვოი მალე გამოჯანმრთელდა, მაგრამ თენგიზი დაიღუპა. ახლა ტერნოვოი პროფესორია, იგი უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეა. ყოველწლიურად ჩამოდის სამთავისში თენგიზის დაბადების დღეს. უზნაძის ოჯახში მას თენგიზის ღვიძლ ძმად თვლიან.



საბჭოთა კავშირის გმირი ზ. ხიტალიშვილი და მისი გადამრჩენელი სოციალისტური შრომის გმირი ი. პანასენკო.

მუზეუმის ფონდებს საინტერესო სურათები შემატა ძველმა ბოლშევიკმა დავით ლომაძემ: „ერნსტ ტელმანი ჰამბურგის ბარიკადებზე 1923 წლის შემოდგომაზე“ და „გერმანელ და რუს ჯარისკაცთა დაძმობილება პირველი მსოფლიო ომის სანგრებში“. იგი პირადად ტელმანს უჩუქნია დ. ლომაძისათვის, რომელიც ამ აჯანყების უშუალო მონაწილეა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რევოლუციური დამსახურებისათვის ორდენით დააჯილდოვა.

მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს ექსპოზიციას — ქართველები ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე.

სხვადასხვა ეროვნების ადამიანები აშენებდნენ ომისშემდგომი ხუთწლედების პირმშოს — მეტალურგთა ქალაქ რუსთავს, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ენგურჰესის კაშხალს, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანას... ყოველივე ეს აისახება ექსპოზიციებში, რომელიც მალე გაიხსნება.

დედაქალაქის სკოლები მოსწავლეთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის ფართოდ იყენებენ მუზეუმს; მის დარბაზებში ხშირად ტარდება „მეგობრობის ღია გაკვეთილები“, დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — ყოველი წლის 30 დეკემბერს, სსრ კავშირის შექმნის დღეს — ჭაბუკები და ქალიშვილები აქ ხვდებიან რევოლუციის, ბრძოლისა და შრომის ვეტერანებს, ისმენენ ლექციებს, იმართება დისპუტები, მეგობრობის საღამოები. აქ ადამიანები იმსჭვალებიან გმირ წინაპართა პატივისცემით, მამებისა და პაპებისადმი მადლიერების გრძნობით, ისწრაფვიან განაგრძონ ვაჟკაცობის, იდეური სიმტკიცის, ყოველივე ძვირფასისადმი ერთგულების ესტაფეტა, რაც ასე უხვად გამოავლინეს საბჭოთა ადამიანებმა განსაცდელის ჟამს, ბრძოლისა და შრომის ქარცეცხლში.

დავით ბიწაძე

# საქართველოს სიყვარული გვიხმობს...

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ოთარ დემეტრაშვილი შეხვდა ქ. თბილისში მცხოვრებ 102 წლის პენსიონერ პავლე კობახიძეს და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების შესახებ.

აი, რა უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საუკუნეს გადაცილებულმა მხცოვანმა მოხუცმა:

— იცით სად იყო შუაბაზარი? ლენინის მოედნიდან რომ ლესელიძის ქუჩას ჩაუყვებით, ორიოდე წუთის შემდეგ ხელმარჯვნივ სკოლის ოთხსართულიანი შენობა შემოგხვდებათ. აი, სწორედ ამ ადგილიდან იწყებოდა თბილისელი ხელოსნების ერთი მიხუხულავებული უბანი, რომელსაც წინათ შუაბაზარს ეძახდნენ.

დღევანდელი სკოლის ტერიტორიაზე ოქრომჭედლების, გრავიორების, მღებავების, თერძებისა და ჰონების სახელოსნოები იყო ჩარიგებული, მოპირდაპირე მხარეს კი სანახევროდ აშმორებული სირაჯხანა და პატარ-პატარა გაზინზლული სამიკიტნოები მიჯრილიყვნენ ერთმანეთზე.

ვის არ ნახავდით აქ? რიყის ქვით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩაში დილიდან შებინდებამდე დააბოტებდნენ მეთულუხჩეები და ქანქაჩები, ნახშირის ბარდანებით პირთამდე დაზურგული სახედრები და თავზე თაბახშემოდგმული კინტოები, ათასი მილეთის, ჯურისა და პროფესიის ადამიანები.

ამბავი, რომელიც ახლა მინდა გავიხსენო, აი აქ, სწორედ ამ ხალხმრავალ შუაბაზარში მოხდა დაახლოებით ოთხმოციოდე წლის წინათ.

აღდგომა კარზე იყო მომდგარი, როცა გაზაფხულის ერთ ჟინჟლიან დილას შუაბაზრელ ხელოსნებში ხმა გავრცელდა, ყარაჩი შაშო გარდაიცვალაო.

ყარაჩ შაშოს ერთ ალაწოდა ცალხელა ხელოსანს ეძახდნენ. ალალი კაცი იყო, პირიანი, იმ ცხონებულმა თავის დროზე მოლხენაც იცოდა, პირისგემოიანი ჭამა-სმაცა და ფუტკარივით შრომისმოყვარე გარჯაც.

ერთ შავდაუკულმა მოსაგონარ დღეს ყარაჩმა შაშომ, რაღაც უხიაგი შემთხვევით, ცაცია ხელი დაჰკარგა. რაღა ჩარა ჰქონდა სხვა, ადგა და ოქრომჭედლობას მიანება თავი.

იჯდა ხოლმე თავისი ყოფილი სახელოსნოს კარწინ ჭიქინაზე გამსკდარი კაცი, თონეში თავდაყირა ჩაყუდებულ ხაბაზებს გასცქეროდა, დასაქმების მოლოდინში ფიქრებში წასული ეფიცხებოდა მზეს.

წუთისოფელი ასეა: ჭირს ლხინი ენაცვლება ხოლმე. როცა ლხინი იყო, ერთადერთ შერჩენილ მკლავზე ბალდადს შეაბამდნენ ყარაჩ შაშოს, ფოჩიანი კონფეტებით ამოუვსებდნენ ჯიბეს და, ჰაიდა, სასიამტკბილო ამბის მაცნედ გააფრენდნენ ადგილზე.

ჭირის დროს უფრო მეტად იცოდა მხარში ამოდგომა. შეეხიდებოდა ჭირისუფალს, ხან სასაფლაოზე, ხან კიდევ სამიკიტნოში გაეგზავნებოდა. შაითანბაზარშიც ჩაირბენდა ხოლმე. პატარძლის ხელით დაკრეფილ ქორფა მწვანილსა და შილაფლავისთვის მიკლებულ ძირას ამოურბენინებდა მზარეულს.

არასოდეს არაფერს თხოულობდა ბედისაგან ხელნაკრავი კაცი. იდგა ხოლმე თავისთვის მშვიდად. რასაც მისცემდნენ, ყველაფერზე ყოველთვის ყაბულს იყო, ამოიჩრიდა იღლიაში და პაკუნ-პაკუნით შეუყვებოდა შინისკენ მიმავალ დაფერდებულ აღმართს.

ყარაჩი შაშოს დასაფლავების დღეს ყველა შუაბაზრელმა ხელოსანმა დაკეტა თავისი სახელოსნოს კარი.

მიცვალებულს პატივისცემა უნდა. გააპატიოსნეს ხელოსნებმა მოუსავლეთში წასული ცალხელა კაცი. ოჯახს უჭირდა და გასაკეთებელი გაუკეთეს, შესაწირი შეაწიეს, თითო მუჭა მიაყარეს ახლად ამოვსებულ საფლავს, ღვინით სავსე ჭიქები წააქციეს შენდობის სათქმელად.

ყარაჩ შაშოს სოფლელი ქალი ჰყავდა ცოლად. ქმრის დაკარგვის შემდეგ უვაჟკაცოდ დარჩენილ ქალს ქალაქში აღარ დაედგომებოდა. აიკრა თავისი გუდა-ნაბადი, ობლად დარჩენილი პატარა ვაჟიშვილი ამოიყენა გვერდში და ვიდრე ლინეინკით შეუყვებოდა ერწო-თიანეთისკენ მიმავალ გზას, მეზობლებს მოგვიკაკუნა კარი.

შავებში ჩაცმულმა ქვრივმა მაგიდაზე დააწყო შეწირული თანხიდან დარჩენილი ფული. იტირა, ივიშვიშა და ბოლოს ყელაწევით შეგვთხოვა, რომ დიდმარხვის დამთავრების შემდეგ ჭედილა გვეყიდნა მეზობლებს. მხნილი დაგვეყენებინა და მისი უბედური ქმრის სახსენებელი შეგვესვა.

ვერა და ველარ გადავათქმევინეთ გულიდან ნათქვამი სიტყვები გაალმასებულ ქალს. რაღას ვიზამდით? ავდექით და შევუსრულეთ თხოვნა ქვრივს; ვიყიდეთ საკლავი, დავიყენეთ მხნილი, გავშალეთ ჭირის სუფრა, გარდაცვლილის სახსენებელიცა ვთქვით და სოფელში გახიზნული მისი ცოლ-შვილის კეთილად ყოფნის, შინ სიკეთით დაბრუნების სადღეგრძელოც დავლიეთ.

აგიხდათ ყოველი სიკეთე! რამდენიმე ხნის შემდეგ ყარაჩი შაშოს ცოლიცა და შვილიც ისევ ჩამობრუნდნენ ქალაქში. წამოზდილმა ბიჭმა მამის ხელობა — ოქრომჭედლობა შეისწავლა, დედამისმა კი შრომაში გალია მთელი თავისი წილხვედრი წუთისოფელი და ბოლომდე წმინდად შეინახა უდროოდ წასული ქმრის სახელი.

შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რა საჭირო იყო ამ მივიწყებული ამბის ასე გახსენება და სააშკარაოზე ხელგაშლით გამოტანაო.

ასეთ ადამიანებს ამთავითვე მინდა ვუთხრა, რომ ამ პატარა, ერთი შეხედვით თითქოსდა მართლაც უმნიშვნელო ამბავში, ჩვენი ხალხის ძველთაძველი ჩვევა და სიკეთეა ჩაქსოვილი.

ასე იყო ძველთაგანვე: შეძლებულ კაცს მიცვალებულის დასამარხად არავინ შეჰკადრებდა ფულს, ხელმოკლე ადამიანს კი შემწედ უდგებოდნენ მხარში, ლაფნის წყაროსავით საიმედოდ ეხიდებოდნენ გასაჭირში.

მიცვალებულის ფული მხოლოდ მიცვალებულს ეკუთვნოდა. არავინ იკადრებდა, რომ უბედურების ჟამს ოჯახში შემოსული თანხა საკუთარი სარფისა და რაღაც ახირებული სამარცხვინო დანიშნულებისათვის გამოეყენებინა.

მავნე და სათაკილო ჩვევის გარდა სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმ მართლაცდა სამარცხვინო ამბავს, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინათ პირადად შევესწარი.

ერთ საკმაოდ შეძლებულ ოჯახში, როგორც იტყვიან, აქლემმა დაიჩოქა და სიკვდილი ჩამოისვა ზურგიდან.

ჭირისუფალს უამრავი ხალხი მიაწყდა. სხვადასხვა მხრიდან უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ ნათესავები და ახლობლები, ნაცნობები და, როგორც მოდაში შემოვიდა, რაღაც მოსაზრებით აღზევებული უცნობებიც.

დაიკლა უამრავი საკლავი. გაეწყო სეფა. ათასგვარი ხორაგით დატენილი სუფრა შენდობის სათქმელად მოსული შვიდას-რვაასი კაცისათვის იყო გამიზნული.

აივნის ბოლოს აფიცრულ ოთახში საგანგებოდ გამოყოფილი სამი კაცი რამდენიმე დღის განმავლობაში იღებდა და სიაში პირწმინდად ინიშნავდა ვილაც-ვილაც მომსვლელთაგან შემოწირულ უამრავ თანხას.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გულხელდაკრეფილ ჭირისუფალს მიცვალებულის ნაცვლად ერთავად აივნის ბოლოსაკენ გაურბოდა თვალი.

აივნის ბოლოს კი იზრდებოდა და იზრდებოდა შესაწირი თანხა. იყო ერთი გნიასი და ბჟობა. სიების შედგენა და გადაწერა, ფულის თვლა და სქელ-სქელ დასტებად დალაგება.

ის, რაც ღარიბ-ღატაკთა ცალხელა ხელოსნის უმწეოდ დარჩენილმა ქვრივმა არ იკადრა, ამ შეძლებულმა ოჯახმა იკისრა! დასტა-დასტა დაკეცილი ფულით, ისედაც საეჭვოდ გალაღებულმა ოჯახმა, კიდევ უფრო მეტად მოითბო ხელი და რამდენიმე ხნის შემდეგ ეზოში მეორე მსუბუქი ავტომანქანა შეაგორა.

ძნელია ამისი თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ ოჯახში ისეთი მავნე ჩვევა დამკვიდრდა, რომ ვინმეს გარდაცვალება მოხვეჭასა და ხელის მოთბობას უფრო ჩამოჰგავს ხოლმე, ვიდრე გლოვასა და ზარს.

საიდან შემოგვეჭრა ასეთი ჩვევები და მავნე ადათები? განა ეს ეკადრება ჩვენს ხალხს, რომელიც ოდითგანვე სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ვაჟკაცური სახელით არის ცნობილი?

სამშობლოს რომელ სიყვარულზე და ვაჟკაცურ სახელზე შეიძლება ველაპარაკოთ იმ ახალგაზრდა კაცს, რომელიც რაღაც გროშების მოგების მიზნით, მანდარინითა და ყვავილებით ხელში მათხოვარივით დაწანწალებს ხოლმე მოძმე რესპუბლიკების ბაზრებში.

ქართველი კაცის ამაყ ბუნებას, თავისთავად ცხადია, არც ფულის მოსახვეჭად შემოღებული „გადახურვა" შეეფერება და არც „სეფა". ასევე უცხო უნდა იყოს მისთვის სუფრაზე მლიქვნელობა, შეთითხნილი და განმადიდებელი სადღეგრძელოების მიძღვნა ვინმესადმი.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არც ზედმეტი ხელგაშლილობა და უმიზნო გულუხვობა გვმართებს ვინმეს მიმართ. პატივისცემისათვის საჭირო ფულს ადამიანი შრომით მოიპოვებს, შრომით მოპოვებულ წყაროს კი მოვლა და ყაირათიანი ხარჯვა უნდა.

მოდით, რაც დასაგმობია, დროულადვე დავგმოთ!

საქართველოს სიყვარული, ჩვენი ბედნიერი დღევანდელი დღე ხომ ამისკენ გვიხმობს, ჩემო შვილებო!

# დასაგმობი დავგმოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რ. თორდია „ფიზიკოსები“.



ა. თევზაძე
„ხუთწლედის სუნთქვა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ა. თოდრია
„ჩემი სოფლის ზეცა“.

# ელენე ახვლედიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წელი ქართული მხატვრობისათვის მეტად დრამატულად დასრულდა. ქართულ მხატვრობას გამოეცალა ერთი ფუძეთაგანი, მხატვარი, რომელმაც თავისი მადლიანი მოღვაწეობის მანძილზე არა ერთი და ორი წარმატება მოუტანა მშობლიურ ხელოვნებას, არა ერთი და ორი ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ტილო შესძინა ჩვენი ხელოვნების საგანძურს.

ელენე ახვლედიანის შემოქმედება დასაბამიდან დღევანდელ დღემდე განუყოფელად გასდევდა ქართულ საბჭოთა ხელოვნებას და ბევრად განაპირობებდა კიდეც მის საერთო დონეს.

თავიდანვე მეტად საინტერესოდ წარიმართა ელენე ახვლედიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია. ჯერ სრულიად ახალგაზრდა, გიმნაზიაში სწავლის დროს ეზიარა მხატვრობას, როცა ნ. სკლიფასოვსკის იმდროისათვის ცნობილ სასწავლებელში დაიწყო მეცადინეობა. 1922 წელს იგი ახლადშექმნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში იწყებს სწავლას. აქედან ნიჭიერ ახალგაზრდას იტალიაში და საფრანგეთში აგზავნიან სახელოვნო ცოდნის გასაღრმავებლად. იტალიაში მან წელიწადნახევარი დაჰყო. რომი, მილანი, ფლორენცია და ვენეცია წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვარზე. იგი ხარბად ეწაფება ხელოვნების ამ ცოცხალ მუზეუმს, ასრულებს მრავალ ჩანახატსა და ეტიუდს. 1924 წელს ელენე ახვლედიანი პარიზში კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაშია". იგი ძალზე ბევრს მუშაობს, ხატავს ამ საოცარ ქალაქს, ირჩევს „თავის" პარიზს, რომელიც პარადული და საზეიმო კი არ არის, არამედ გარეუბნების ეშხითაა აელვარებული. უცხოეთში ყოფნისას მხატვარი თავისი მშობლიური კუთხისადმი ტრფიალს ჩვენი ხელოვნების განვითარების ყოველ საფეხურზე.

ოციანი წლების ბოლოს იგი ხვდება კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც მხატვარი თეატრთან აზიარა. შემდგომში მხატვარი თავის შემოქმედებაში თეატრალურ დარგში მოღვაწეობას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებითი დიაპაზონი მეტად ფართო იყო. ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური დეკორაციები და კინოფილმების გაფორმება ერთმანეთს ავსებდა იმ საერთო მისწრაფებაში, რომელსაც მხატვრის გასაოცარი ნიჭი და ენერგია ასულდგმულებდა. ელენე ახვლედიანმა ქართული თეატრის ისტორიას მეტად საინტერესო ნამუშევრები დაუტოვა.

წიგნის გაფორმებისას ელენე ახვლედიანი ქართველ თუ უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს ირჩევდა.

მიუხედავად თეატრსა და გრაფიკაში მიღწეული წარმატებებისა, ელენე ახვლედიანის მოქმედების ძირითადი სფერო დაზგური ფერწერაა. ფერწერაში ყველაზე მეტად გამოჩნდა მხატვრის შემოქმედებით მისწრაფებათა საწყისი, ფერწერაში ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა, შემოქმედებითი კრედო, ასე რომ გამოარჩევდა მის ტილოებს სხვებისაგან.

ელენე ახვლედიანი მთელი თავისი შეგნებითა და ბუნებრივი მისწრაფებებით — პეიზაჟისტია. გარემომცველი ბუნებაა მისი შთაგონების ძირითადი წყარო. მხატვრის პიროვნებამ თავისი გამოხატვის საუკეთესო საშუალება ჰპოვა ბუნების სურათებში. ელენე ახვლედიანის პეიზაჟები განსაკუთრებულია თავისი პოეტურობითა და ემოციურობით. დეკორატიულობა, რაც ალბათ ყველაზე მეტად გამოჰყოფს ელენე ახვლედიანის ყველა ნამუშევარს, აქ განსაკუთრებულ გამომეტყველებას იღებს. სურათის თითქმის ყოველთვის ჟღერადი ფერადოვნების (ადრინდელ ტილოებს შედარებით „მონოქრომულობა", წლების განმავლობაში ადგილს უთმობს სწორედ ჟღერად ფერადოვნებას.) დროს დეკორატულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დეკორატულობა თითქოს გარკვეულ პირობითობას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ელენე ახვლედიანთან იგი გარემოს რეალისტური ასახვისაგან გამომდინარეობს. დეკორატულობისაკენ მისწრაფება იგრძნობა არა მარტო თვით სიუჟეტის შერჩევის დროს, არამედ კომპოზიციის გადაწყვეტასა და ფერთა განლაგებაშიც კი. მხატვრის კომპოზიციათა ეს ხაზგასმული დეკორატულობა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას, პოეტურობას ანიჭებს ტილოებს. აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი თვისება ახვლედიანისეულ პეიზაჟებისა, რაც შინაგან დინამიკასა და მოძრაობაზეა დამყარებული. სურათის კომპოზიცია, ხედვის წერტილები, სხვადასხვა რაკურსები „ამოძრავებენ" პეიზაჟის შემადგენელ ნაწილებს— ქუჩებს, აივნებიან სახლებს, გაშიშვლებულ ხეებს. სურათის ეს შინაგანი დინამიკა სრულად გამოხატავს მხატვრის ბობოქარ ბუნებას.

ოციანი წლების სურათებიდან საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სამი ბრწყინვალე ტილო — „კახეთი. ზამთარი", „მაიდანი" და „ქეიფი", განსხვავებულნი ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთიანი მხატვრის პოზიციის გამოხატვის თვალსაზრისით. პირველი სურათის თოვლში გახვეული სოფლის პეიზაჟი. აქა-იქ მიმოფანტული ადამიანთა ფიგურებით. ბრეიგელისებური კომპოზიცია კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მხატვრის დამოკიდებულებაზე კლასიკური მემკვიდრეობისადმი.

განსაკუთრებულად ავლენს, ხატავს საქართველოს, თბილისს. თუ როგორია იმდროინდელი სურათები, იოლი წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ, რომ ერთ სურათს თვით პოლ სინიაკი იძენს თავისი კოლექციისათვის...

იქ, უცხოეთში ყოფნისას აშკარად გამოჩნდა მხატვრის შემოქმედებითი მისწრაფებანი. 20-იანი წლების იტალია და საფრანგეთი — დუღს სხვადასხვა მიმართულებებითა და მხატვრული დაჯგუფებებით. ელენე ახვლედიანი ვერ აიყოლია მოდერნისტული ხელოვნების ცდუნებამ, რომელმაც არა ერთი და ორი მხატვრის ინდივიდუალობა შთანთქა. ახალგაზრდა ქართველი მხატვარი მტკიცედ ირჩევს რეალისტური მხატვრობის, კლასიკური მემკვიდრეობით შთაგონებული მხატვრობის გზას, რომელსაც იგი შემდეგ აღარასოდეს ღალატობს.

1927 წელს სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი მართავს გამოფენას — უცხოეთში მოგზაურობის თავისებურ ანგარიშს. ეს გამოფენა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მხატვრის „სავიზიტო ბარათი" იყო. ამის შემდეგ ქართულ მხატვრობაში არ ყოფილა ცოტათი თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მონაწილე, უფრო ხშირად, ინიციატორიც კი, ელენე ახვლედიანი არ ყოფილიყო. ამის შემდეგ, ელენე ახვლედიანის სახელი განუყოფელია ქართული მხატვრობის სვლისაგან. ისევე, როგორც დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი დაბეჯითებით იკავებს ადგილს ქართულ საბჭოთა მხატვრობის მეწინავეთა შორის. ამის შემდეგ, მხატვრის ბობოქარი ბუნება და დაუოკებელი ენერგია თავის განუმეორებელ სათქმელს იტყვის

ამრიგად, ადრევე ჩამოყალიბდა მხატვრის შემოქმედებითი კრედო და მიუხედავად შემდგომი ძიებებისა თუ მრავალფეროვნებისა, იგი შემდგომში არ შეცვლილა. ელენე ახვლედიანის მთელი შემოქმედება მხატვრული მთლიანობით გამოირჩევა. გვიანდელი ნამუშევრებიც კი, ისეთი განსხვავებული სურათები, როგორიცაა ვთქვათ „ნარიყალა. თბილისი" (1969), „ძველი თბილისი" (1966), „ძველი თბილისი. ბაზარი" (1964), „ფასანაური" (1970), „იმერეთი" (1968), „ჭექა-ქუხილის წინ" (1970) — მიუხედავად ნაირფეროვნებისა, მაინც ერთიან სტილისტურ ნიშნებს ავლენენ.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისს. იგი ჩვენს დედაქალაქს მოევლინა, როგორც თბილისზე თავდავიწყებით შეყვარებული მომღერალი, რომელმაც აღლო აუღო ძველი თბილისის განუმეორებელ სილამაზეს, მის რომანტიკას. იგი ახალ თბილისსაც, მის ახალმშენებლობებსაც უმღერის.

როცა ელენე ახვლედიანზე ლაპარაკობ, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი მრწამსი და უზომო პატრიოტიზმი და ინტერნაციონალური სულისკვეთება, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიხატებოდა და ასულდგმულებდა მას.

**ნოდარ ჯანბერიძე,**
საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

# ყველაზე მძიმე ბრძოლა

ნოველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგირებით გარშემორტყმულ ოთხკუთხედზე ერთმანეთის პირისპირ ვდგევართ... ჩვენ შორის ახლა არ არსებობს არავითარი ზღუდე.

...ზემდეგმა თავიდანვე ამითვალწუნა: გასწორებულ საწოლზე ნაოჭს მიპოვნიდა, გამოკერებულ თეთრ საყელოზე შავ ლაქას, ჩექმები თვალისმომჭრელად არ პრიალებდა და ქამარი წელზე ან ზედმეტად მოჭერილი, ან ზედმეტად მოშვებული მქონდა.

ზემდეგი ჩემზე დაბალია, მაგრამ უფრო ჩაფსკვნილი. განიერი მხრები და მოკლე, დაკუნთული ხელები აქვს, წონაში რომ დავწეოდი, გაძლიერებულ კვებაზე გადავედი; აწონის წინ სამმაგი ულუფა „მივირთვი“ და საწადელსაც მივაღწიე.

როგორც ახალბედები, ორ რაუნდს ვიბრძოლებთ. თითოეული რაუნდი ორ წუთს გაგრძელდება. დრო საკმაოდაა სამაგიეროს მისაგებად. აჰა, ნანატრი გონგის ხმაც გაისმა.

ჩემი უპირატესობა სიმაღლე და გრძელი ხელებია. დაზვერვას მანძილის დაცვით ვატარებ. მალე ვრწმუნდები, რომ დასაზვერი არაფერია. ხელთათმანებს ვუშვებ და მის წინ სრულიად გახსნილი ვხტუნაობ. ზემდეგი ცდილობს როგორმე მომახვედროს, ხტუნავს და სიცარიელეში გამალებით იქნევს ხელებს. დათვს ჰგავს, რომელსაც ხელთათმანები ჩააცვეს და რინგზე გამოუშვეს.

დარბაზიდან სიცილი მესმის.

...არავის არ სიამოვნებს მლიქვნელობა ისე, როგორც დიდი უფლებებით აღჭურვილ პატარა ადამიანს. ზემდეგიც მამცირებდა ისე, როგორც ძალაუფლებიან ადამიანს შეუძლია დაამციროს მეორე, რომელსაც მხოლოდ სიამაყე გააჩნია. არ შემეძლო მლიქვნელობა, რადგან ეს იქნებოდა ყველაზე დიდი დამცირება ჩემთვის. ამიტომ მიხდებოდა ტონობით კარტოფილის ფცქვნა და ყაზარმაში იატაკის ხეხვა.

„აქ არ არის კარგად გაწმენდილი!“ — ასკვნიდა ზემდეგი და ერთხელ გაწმენდილ იატაკს, მისი პრიალა ჩექმების წინ მუხლმოდრეკილი, ხელმეორედ ვხეხავდი...

იცინეთ, იცინეთ, სეირის მოყვარულებო!..

ჯიქურად მიტევს. საპასუხოს ლებულობს. თავს ვერ იცავს, მეხვევა, ცდილობს ხელები დამიჭიროს. გაოფლიანდა, ტანზე ორთქლი ასდის.

...თეფშების სამრეცხაო ყოველთვის ორთქლით იყო სავსე. ცხელ წყალში ხელებდათუთქული, ოფლად ვილვრებოდი ათასობით ჯარისკაცის ფაფამიმხმარი თეფშების რეცხვით.. ახლა ვახშამი, საუზმე, სადილი?!. ქანცგაწყვეტილს საჭმელთან მიკარება აღარ შემეძლო. ზემდეგი ამ „სიამოვნებას“ შაბათ-კვირას მიმზადებდა — დასვენების ნაცვლად.

მაინც ჯიქურად და მოურიდებლად მიტევს. მეც აღარ ვინდობ, თუმცა ბოლომდე ვერ ვიმეტებ.

# პატარა რეცენზიები




## რუსთაველი ბულგარულად

ეროვნულ კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა დაახლოებისა და მათი სულიერი გამდიდრების საქმეში. ამ მხრივ მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, მთავარ როლს ასრულებს. ამიტომ არის, რომ ყოველთვის დიდ გამოხმაურებას იწვევს ამა თუ იმ ხალხის ენაზე სხვა ხალხების დიდ მოაზროვნეთა ქმნილებების გამოცემა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი დიდი ხანია გასცდა მისი სამშობლოს, მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის საზღვრებს. ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანები არსებობს გერმანულ, ჩეხურ, რუმინულ, პოლონურ, უნგრულ, ფრანგულ, ინგლისურ, იაპონურ, მონგოლურ, ჩინურ, ებრაულ, ესპანურ, იტალიურ ენებზე. რუსთაველის გენიალური პოემის ნაწყვეტები თარგმნილია მრავალ სხვა ენაზეც.

სულ ახლახან უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ბულგარულ ენაზე ამეტყველდნენ; კიდევ ერთი ერის შვილები შეემატენ რუსთაველის გენიის თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვან რიგებს. სოფიის გამომცემლობა „ნაროდნა კულტურამ“ სერიით „მსოფლიო კლასიკა“ გამოსცა ცნობილი ბულგარელი პოეტის სტოიან ბაკირჯიევის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

თარგმანის რედაქტორია ჩვენი თანამემამულე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ბიწაძე. პოემას წამძღვარებული აქვს ბულგარელი მეცნიერის პროფესორ ველჩო ველჩევის შესავალი წერილი „შოთა რუსთაველი — რენესანსის იდეალების მომღერალი“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტმა სოფიიდან მიიღო ძვირფასი საჩუქარი — რუსთაველის ქმნილება ბულგარულ ენაზე. ძველი ქართული ენის კათედრის გამგის პროფესორ ლ. მენაბდის სახელზე გამოგზავნილ წერილში სტოიან ბაკირჯიევი იტყობინება, რომ მან შექმნა „გენიალური ქართველი პოეტის ბულგარული პორტრეტი“.

სტოიან ბაკირჯიევს პოემის თარგმანზე მუშაობისას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული რუსთაველის კაბინეტის მეცნიერ მუშაკებთან, სარგებლობდა მათი კონსულტაციით, ქართველ მეცნიერებს გამოუგზავნა თარგმანის ხელნაწერი. პოემის გამოქვეყნებამდე თარგმანს გაეცნენ ბულგარელი სპეციალისტები, რომლებმაც მთარგმნელის მუშაობას უმაღლესი შეფასება მისცეს.

სასიხარულოა, რომ ბულგარელ მკითხველებს — მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეებს — ამჟამად მშობლიურ ენაზე აქვთ მსოფლიო კლასიკის მარგალიტი „ვეფხისტყაოსანი“. პოემის ბულგარულ ენაზე გამოცემა კიდევ ერთი მკაფიო და მრავლისმეტყველი ფაქტია ბულგარელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა.

სტოიან ბაკირჯიევი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის ბულგარეთში. მან თავის თანამემამულეებს უკვე გააცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას და ზოგიერთი სხვა ქართველი პოეტის ნაწარმოებები.

## შუკშინი ქართულად

უბრალო, მოყვარულის თვალითაც რომ გადავხედოთ კ. შუკშინის შემოქმედებას, ალბათ, გაგვიძნელდება გაოცების დაფარვა, იმხელა სასიკეთო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ვინ იცის, წინასწარ გრძნობდა საბედისწერო დღის ნაადრევად მოახლოვებას და ამდენსაც იმიტომ ირჯებოდა. მისთვის უცხო იყო დაღლა, უდროობა თუ მოუცლელობა — წერდა ყველგან და ყოველთვის, უფიქროდ და უსაქმოდ წუთის დაკარგვასაც ერიდებოდა. როგორც იტყვიან, დაუდევრად გაფლანგა საკუთარი ჯანი და სიცოცხლე, და ასე ნაადრევადაც ჩამოუღამდა. თუმცა ასეთი სიმდიდრის დასატოვებლად ნამდვილად ღირდა თავის გაწირვა და სინანულის მიუხედავად აკი ბევრსაც საყვედურობენ ამაზე.

# სპორტულ თემაზე

## ზღვა გადაცურა!

მარათონულ ცურვას 100 წლის ისტორია აქვს. მცურავებს დაუფარავთ საკმაოდ გრძელი დისტანციები, გადაუცურავთ ტბები, ყურეები, სრუტეები.

ზღვები? არა, ზღვა აქამდე არავის გადაუცურავს.

და აი ასეთი საოცარი მცურავიც აღმოჩნდა. იგი იტალიელი პაოლო დონაჯიო გახლავთ. ვენეციელ კაცს ცურვა არ გაუკვირდება, იგი ხომ ოთხივე მხრიდან წყალს ხედავს, თუმცა ცურვაც არის და ცურვაც!

გასულ წელს სექტემბერში დონაჯიომ გადაწყვიტა, არც მეტი, არც ნაკლები, დაეფარა ისეთი „უმნიშვნელო დისტანცია“, როგორიცაა მანძილი იუგოსლავიიდან იტალიამდე. ერთი სიტყვით, მან გადაწყვიტა ადრიატიკის ზღვა გადაეცურა.

დონაჯიოს „ეპოპეა“ სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს იუგოსლავიის ნავსადგურ პულადან დაიწყო. 50 საათის შემდეგ ამ საოცარმა მცურავმა უკვე იტალიის ნაპირებს მიაღწია. ქ. ჩირვიასთან მან 150 კმ დისტანცია დაფარა. საშუალოდ დონაჯიო საათში 3 კმ ფარავდა, რითაც მთელი სპორტული სამყარო გააოცა.

დონაჯიო დიდ სიძნელეებს წააწყდა. ცურვის დაწყებისას ამინდი გაუარესდა, ზღვა ღელავდა. ყველაზე ძნელი მაინც ის იყო, რომ მცურავმა ორი უძილო ღამე გაატარა. განსაკუთრებით ნერვიულობდა მეორე ღამეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძალაგამოცლილმა დონაჯიომ კინაღამ არ შეწყვიტა ცურვა. აქ საქმეში ჩაერია მწვრთნელი (მწვრთნელი და ექიმი ნავით ბოლომდე მიჰყვებოდა მცურავს), მან გაამხნევა პაოლო, ექიმმა კი მასაჟი გაუკეთა და ცურვაც გაგრძელდა.

საინტერესოა, რომ დონაჯიო გაძლიერებით იკვებებოდა. ნავიდან მას დროგამოშვებით ცხელ

მეტს ველარ ვითმენ და ვურტყამ.

ზემდეგს ფეხები ეკეცება, ნაპირზე ამოვარდნილი თევზივით ალებს პირს. თეთრად ელავს დაუცველი ყბა... დარტყმა და ყველაფერი გათავებულია, მაგრამ წაქცეულს არ ურტყამენ. რაუნდის ბოლომდე ვიცდი, რადგან არ მინდა ბრძოლა აშკარა უპირატესობით შეწყდეს.

წინ კიდევ გადამწყვეტი რაუნდია.

— მიდი, ბიჭო, მიდი, მაგის ოხტში ამოგვიყვანე! — შემომეხვივნენ გონგის შემდეგ ბიჭები.

— ფრთხილად იმუშავე, არ გადაიკიდო! — მეუბნება მიშა და პირსახოცს სახესთან მიქნევს.

— რას ეჩრება იქ, სადაც საჭირო არ არის!

— ნაწილის ღირსებას იცავს!

— ღირსებას არა!

— ეგ რომ არა, გუნდს ვერ გამოვიყვანდით. თქვენ სხვადასხვა წონაში უნდა გემუშავათ!

ეს მეც ვიცი, ზემდეგიც მიხვდა, ალბათ, ყველაფერს. ამიტომ არ მინდობს არც მე და არც საკუთარ თავს. მხოლოდ ესაა, რომ კრივში ის ახალბედაა, მე კი არა. რინგზე ზემდეგი მე ვარ, ის კი — ჯარისკაცი.

გონგის ხმა ისევ ერთმანეთის პირისპირ გვაყენებს. ზემდეგი დაღლილი ჩანს. ძლივს დაცოცავს რინგზე და სრულიად გახსნილია.

კროსი მახსენდება ათ კილომეტრზე. აირწინაღში ოფლად ვიღვრებოდი და სუნთქვა მიჭირდა. ზურგჩანთა მხრებს მიჭრიდა. კისერზე ჩამოკიდებული ავტომატი მიწისკენ მექაჩებოდა. ზემდეგი ჩემს გვერდით მორბოდა, მიყიჟინებდა და მაჩქარებდა. მეტი აღარ შემიძლია, მაგრამ მაინც მივრბივარ, რადგან არ მინდა მას ჩამოვრჩე. ასე მივირბინე ბოლომდე...

დარტყმები ზემდეგს აბარბაცებს, მაგრამ მაინც ფეხზე დგას. ძალაწართმეული არ ითხოვს რინგზე პირსახოცის გადმოგდებას — უთანასწორო ბრძოლის შეწყვეტას.

„საოცარი კაცია, რატომ იკლავს თავს? თავს არ ინდობს და მე დამინდობს?!“

გაოგნებული მიყურებს. მზერას ვარიდებ თეთრად მოელვარე დაუცველ ყბას, რომელიც ასე დაუცველია და ასე ადვილად მისაწვდომი.

ვგრძნობ, რომ მარტო ამ ბრძოლაში კი არა, ყველა ჩვენს შეჯახებაში დამნაშავე ვარ. ზემდეგს სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო, რადგან დამორჩილება უნდა მესწავლა, ჯარისკაცი უნდა გავმხდარიყავი, საკუთარ სიამაყეს მოვრეოდი.

თეთრად ელავს დაუცველი თეთრი ყბა... ტკივილით ვიმორჩილებ მუშტადშეკრულ, დარტყმისათვის გამზადებულ მარჯვენას.

გონგის ხმა მხსნელად მევლინება; საოცრად მოთენთილი და დაღლილი ვარ... ორწუთიანი ორი რაუნდი, ორი, გაუთავებლად გრძელი რაუნდი... ეს იყო ყველაზე მძიმე ბრძოლა ჩემს ცხოვრებაში. მსაჯი ჩემს ხელს მაღლა წევს და ვგრძნობ, რომ ვაჯობე ზემდეგს, ვაჯობე საკუთარ თავს.

ეს იყო მთავარი, რადგან წინ კიდევ მრავალი პაექრობა მელოდა.

გივი ჩხიკვიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა რეცენზიები



ვ. შუკშინი

## სტიოპკას სიყვარული

ვასილი შუკშინის მოთხრობები თითქმის ერთბაშად გამოჩნდა და გამოშუქდა რუსულ პრესაში. ამ მოთხრობების ორიგინალობაზე ჯერ ჩამიჩუმიც არ იყო არსაით, როცა ჩვენმა მკითხველმა მისი თარგმანები მიიღო. რა სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ვასილი შუკშინის მწერლური ღირსება ერთ-ერთმა პირველმა ჯუმბერ თითმერიამ შეამჩნია და თარგმნა კიდევაც.

ჯუმბერ თითმერია — კრიტიკოსი — ცნობილია დაკვირვებულობითა და ობიექტურობით; წერს მხოლოდ მასზე, რაც საყურადღებოდ და მნიშვნელოვნად მიაჩნია და მკითხველსაც სჯერა, ეს რომ ასეა. მისთვის უცხოა აჩქარება და სხვათა ფეხის ხმის აყოლა. ჯუმბერ თითმერიას პუბლიცისტური წერილები თუ, ერთი შეხედვით, გაჯავრებულ გულზე ფეხდგომელა დაწერილი მწვავე რეპლიკები, გამიზნულია მხოლოდ საერთო კეთილდღეობისა და უარესის უკეთესად გახდომაგადაქცევისათვის.

ჯუმბერ თითმერია, როგორც იტყვიან, კვალში ედგა ვასილი შუკშინის საუკეთესო მოთხრობებს: იბეჭდებოდა რუსულად, იბეჭდებოდა ქართულადაც. ახლახან კი ჩვენმა მკითხველმა მიიღო ამ თარგმანების კრებული („სტიოპკას სიყვარული“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). დასანანია, რომ თარგმანების უმეტესობა წიგნში ვერ მოხვედრილა.

შუკშინმა ბრწყინვალედ ასახა უპირველესად თანამედროვე რუსული სოფლის ყოფა, რუსი გლეხის ხასიათი; ასახა თითქმის შეულამაზებლად, ერის კაცის პირუთვნელობით, რამაც ასეთი დამსახურებული პოპულარობა მოუპოვა. მისი მოთხრობის გმირები უეჭველად რაღაცით გაბრაზებულები, განაწყენებულნი არიან — ამ დროს კი ყველაზე თვალნათლივ ჩანს საზოგადოების ბუნებაცა და ხასიათიც. ისე გეჩვენება, თითქოს მწერალს არაფერი აქვს არც მოსარიდებელი, არც დასამალი. სხვანაირად არც უნდა იყოს — ეს მისი ხალხია და სხვაზე უფრო ისევ მას შესტკივა გული.

ჯუმბერ თითმერია — მთარგმნელი — აქაც არ ღალატობს ნამდვილი შემოქმედის სიდინჯესა და ძიებას. მოთხრობები შესანიშნავად არის თარგმნილი. ხელშესახებად არის გადმოცემული რუსული ტრამალის სურნელი თუ სულისშემხუთველი ყინვა, ხელჩაქნეული შოფრისა თუ დაუფიქრებლად გაკაპასებული ცოლის მოურიდებელი ჯაჯღანი... ყველაფერი იმდენად კარგად არის გადმოცემული, საბედნიეროდ ეჭვი გეპარება თარგმანი თუა. ყველა მოთხრობა ამ მხრივ ცალ-ცალკე განხილვის ღირსია.

ჯუმბერ თითმერიამ ბევრი იშრომა შუკშინის მოთხრობების თარგმნაზე და აკი ამაგიც დაუფასდა: მკითხველმა კარგად მიიღო.

როგორც ვიცით, ჯუმბერ თითმერია განაგრძობს შუკშინის სხვა მოთხრობების თარგმნასაც, და, ალბათ, მალე სხვა კრებულსაც მივიღებთ. აი, ასეთი წიგნებით უნდა გამდიდრდეს ჩვენი წიგნის თარო, ჩვენი ბიბლიოთეკა.

ვასილი შუკშინის ამ ქართულად დასტამბულ კრებულში არის მშვენიერი მოთხრობა „სტიოპკა“. სტეპან ვოევოდინი კარგა ხანს იჯდა ციხეში. სამი თველა ჰქონდა დარჩენილი და გამოიპარა. რა თქმა უნდა, შინაურები ცას ეწივნენ სიხარულით: მეზობლები, ნათესავები, მილოცვა და ლხინი. შუა ლხინში უბნის რწმუნებული გამოჩნდება და სხვების შეუმჩნევლად მიჰყავს სტიოპკა. სოფლსაბჭოსკენ მიდიან და მისაუბრობენ:

„— რატომ ჰქენი-მეთქი, ეგა?! (ეკითხება რწმუნებული).

— რატომ გავიქეცი? ჰო! ერთი ასე გავლა მომწყურდა...

— სამი თველა გქონდა დარჩენილი; ცოტაც ვერ მოიცადე? — თითქმის დაუყვირა რწმუნებულმა, — ახლა, რა, ახლა ორი წელიც ზედა გაქვს...

— ეგ არაფერი... ახლა მაგრადა ვარ. ახლა ჯდომა შეიძლება... აბა, მაშინ სიზმრებმა გამაწამეს — ყოველღამე სოფელი მესიზმრებოდა... კარგი გაზაფხული იცის ჩვენში, არა?

— კი, იცის... — ფიქრს მიეცა რწმუნებული“.

რა მართალია მწერალი! ყოველი ადამიანი მიილტვის იმ ერთი დღისკენ, როცა უმთავრესი სურვილი, ნატვრა, მიზანი შეუსრულდება — დასაბამიდან ასეა — სხვანაირად აზრი არ ექნებოდა სიცოცხლეს.

კარლო კობერიძე

## სპორტულ თემაზე

### სახიფათო წამოწყება

ჩაის, გლუკოზას, სხვადასხვა ორცხობილასა და შოკოლადს აწვდიდნენ, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც 7 კილოგრამი დაიკლო.

პაოლო დონაჯიოს აქამდე არაერთი სპორტული გმირობა აქვს ჩადენილი. მან გადალახა ლამანშის, მესინისა და გიბრალტარის სრუტეები. ერთ ზაფხულს მან შვეიცარიაში კომოს ტბაზე 130 კმ დისტანცია დაფარა.

1976 წლის ზაფხულში დონაჯიო აპირებს ხმელთაშუა ზღვა გადალახოს. სიცილიიდან ტუნისის ნაპირებამდე. ეს მისი დიდი ხნის ოცნებაა.

ამას წინათ ლოს-ანჟელოსში სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ბობი ფიშერმა აღძრა ჟურნალისტ დარახის წინააღმდეგ. დარახმა დაწერა წიგნი „ბობი ფიშერი მსოფლიოს წინააღმდეგ“. ფიშერი ჟურნალისტსა და ორ გამომცემლობას („ტაიმ-ლაიფ ინკორპორეიტედი“ და „სტაინ უნდ დეი“) უჩიოდა „თავის პირად ცხოვრებაში შეჭრისათვის“ და „მორალური დანაკლისის“ კომპენსაციის ფასად 20 მილიონ დოლარს მოითხოვდა. სასამართლომ დარახის მხარე დაიჭირა და უარყო ფიშერის პრეტენზია.

სასამართლოში ფიშერის მოსვლას პრესისა და ტელევიზიის უამრავი წარმომადგენელი უცდიდა. მაგრამ ექსჩემპიონამდე ვერავინ მიაღწია. მისმა მცველებმა (ახლა ფიშერი მხოლოდ მცველების თანხლებით დადის) ბოქსისა და კარატეს ილეთები გამოიყენეს და ფიშერამდე არავინ მიუშვეს.

ამასთან დაკავშირებით აი, რა განაცხადა ერთმა ჟურნალისტმა:

— ფიშერისაგან ინტერვიუს აღება, ფრიად სახიფათო წამოწყებაა. სანამ ასეთ ავანტიურას დაიწყებდეთ, აუცილებელია, ერთი ადგილი დაიჯავშნოთ... საავადმყოფოში!

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

## მწვანე აფთიაქი

ამ მეურნეობას სამართლიანად უწოდებენ მწვანე აფთიაქს. აქ მოჰყავთ უძვირფასესი სამკურნალო მცენარეები.

ბათუმის კოფეინის ქარხანაში ალოესაგან ოთხი სახის პრეპარატს ამზადებენ; ალოეს წვენი ძვირფასია საჭმლის მოსანელებელი ტრაქტის სამკურნალოდ. რკინიან ალოეს ანუ ფეროალოეს ეგრეთწოდებული მეორადი ალოეს ანემიის სამკურნალოდ იყენებენ; ალოეს ემულსია საუკეთესო საშუალებაა სიდამწვრის სამკურნალოდ.

ფართოდ არის ცნობილი თირკმლის ჩაი. მას იყენებენ თირკმლის კენჭების, მარილების დაგროვების, ნაწილობრივ ნეფრიტის განსაკურნავად.

მეურნეობის ფართობებზე გაშენებულია ტროპიკების ბინადარი კალენდულა, ჩიტ-ძაღლყურძენა, კავკასიური დიოსკურია, წითელი წიწაკა, ბარვინოკი, რომელთაგან ქვეყნის ფარმაცევტული მრეწველობა მრავალი სახის ძვირფას პრეპარტს ამზადებს.

ველური სამკურნალო მცენარეებიდან მეურნეობა ამზადებს ხარისშუბლას, ორკბილასა და ევკალიპტის ფოთოლს, რომელზეც ჩვენში დიდი მოთხოვნილებაა.

ეს მწვანე აფთიაქი ექვსიოდე წლის წინათ ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. სსრ კავშირის მედიცინის მრეწველობის სამინისტროს სპეციალისტებმა კოლხეთის სუბტროპიკულ ზონაში მისთვის, მართლაც, რომ შესანიშნავი ადგილი შეარჩიეს. აქ სამკურნალო მცენარეთა უხვი მოსავლის მოყვანის ყველა შესაძლებლობაა.

მეურნეობის მშენებლობაზე მეცხრე ხუთწლედში დაბანდებული იყო სამი მილიონი მანეთი. აშენდა 18 მიწის (გრუნტის) ორანჟერეა, თაროების ტიპის ხუთი ორანჟერეა თირკმლის ჩაის მოსაყვანად, 2.500 ჩარჩოსაგან შემდგარი კვალსათბური. საქვაბე ცენტრალური გათბობისათვის და სხვ.

შექმნის პირველი წლიდანვე მეურნეობა პირნათლად ასრულებს სამკურნალო მცენარეთა წარმოებისა და დამზადების გეგმას.

ერთია მოსავლის მოყვანა, მაგრამ მთავარია მისი დახარისხება, შეფუთვა, გაგზავნა, სამკურნალო მცენარეები ქვეყნის ფარმაცევტულ ქარხნებში იგზავნება მატარებლებით, ავტომანქანებით, თვითმფრინავებით.

მეურნეობას დიდ დახმარებას უწევს სსრ კავშირის მედიცინის მრეწველობის სამინისტრო. გარდა სამეურნეო სახის ობიექტებისა, აქ შენდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობები. კოლხეთში ერთ-ერთი საუკეთესოა შუა ხორგის საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, რომლის მშენებლობისათვის სახსრები სამინისტრომ გამოყო. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით და სასწავლო საშუალებებით. ლაბორატორიები მოამარაგეს ძვირფასი ტექნიკით.

სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის წინაშე მეათე ხუთწლედში გადაშლილია დიდი მომავალი, ერთ-ორჯერ გაიზრდება სამკურნალო მცენარეთა წარმოება-დამზადება, რისთვისაც ასობით ჰექტარ გამოუყენებელ მიწას აითვისებენ.

მეურნეობის მშრომელთა კეთილდღეობას სამი მილიონი მანეთი მოხმარდება. გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, კულტურის, საყოფაცხოვრებო სახლების, პოლიკლინიკის, სავაჭრო ცენტრის მშენებლობა.

მეურნეობის მშრომელები ამრავლებენ შორეული ტროპიკებიდან „გადმოსახლებულ“ მცენარეებს, ექსპედიციებიდან ჩამოტანილ „ველურ სტუმრებს“. მეურნეობა მტკიცედ დგას ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

## ბუნების კარი

საუკუნის წინათ დაიბეჭდა

### ანტარქტიკის გარშემო

### მოსახლეობა იზრდება

ყინულოვან კონტინენტს — ანტარქტიკას ამ ორიოდე ათეული წლის წინათ არც მუდმივი სამეცნიერო სადგური და, ცხადია, არც მოსახლეობა არ გააჩნდა. სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებიც ანტარქტიკაში მუშაობდნენ, ზამთრობით იშვიათად რჩებოდნენ ყინულთა სამეფოში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ანტარქტიკული დასახლებული პუნქტი, რომელიც შოტლანდიელებმა დააარსეს 1903 წელს კუნძულ ბრიუსზე. აღნიშნული სამეცნიერო სადგური შოტლანდიელებმა შემდეგ არგენტინელებს გადასცეს და იგი „ორკადასის“ სახელწოდებით მუდმივად არსებობს დღემდე.

1945 წელს ბრიტანეთის ანტარქტიკულმა სამსახურმა შექმნა მუდმივი სამეცნიერო სადგური „ჰოპბეი“. მას შემდეგ ანტარქტიკაში მკვეთრად იზრდება სამეცნიერო სადგურებისა და მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა. ასე მაგალითად, 1955 წელს ანტარქტიკის არეში მოქმედებდა 21 სამეცნიერო სადგური, 200 თანამშრომლით, 1958 წელს კი 11 ქვეყნის 48 სამეცნიერო სადგური, 900 თანამშრომლით.

საბჭოთა მეტეოროლოგიური სადგური „მოლოდიოჟნაია“ ენდერბის მიწაზე მდებარეობს. ზამთრობით იქ 100-200 კაცი რჩება, მეორე საბჭოთა სადგურ-ბაზა „მირნიში“ კი 50-60 კაცი იზამთრებს ხოლმე.

სამეცნიერო სადგურები მხოლოდ სანაპიროსა და მიმდებარე კუნძულებზე იყო განლაგებული. 1956 წელს შეიქმნა პირველი შიდაკონტინენტური საბჭოთა სამეცნიერო სადგური „პიონერსკაია“, რომელიც ოთხასი კილომეტრით არის დაშორებული სადგურ-ბაზა „მირნის“ და ზღვის დონიდან 2.500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მეორე საბჭოთა სადგური „ვოსტოკი“ მდებარეობს გეომაგნიტურ და სიცივის პოლუსებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პლანეტაზე სწორედ „ვოსტოკზე“ იქნა ფიქსირებული ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 88,7 გრადუსი.

1975 წლიდან ანტარქტიკაში არის 10 ქვეყნის 32 სამეცნიერო სადგური, ამ სადგურებში ზამთრობით 700-ზე მეტი ადამიანი რჩება. საბჭოთა კავშირის 6 სამეცნიერო სადგურში 220-230 კაცი ატარებს ზამთარს.

1975 წლის ოქტომბერში ანტარქტიკაში გაემგზავრა საბჭოთა ექსპედიცია გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ბარდინის ხელმძღვანელობით.

## „დროება“, 1876 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყველაზე უგრძესი წვერი დედამიწაზე, როგორც ამბობენ, ამჟამად ერთ ამერიკელს ადამ კერპენს აქვს, რომელიც ჩიკაგოში ცხოვრობს.

წვერის სიგრძე თურმე ერთი საჟენი, ერთი არშინი და ექვსი გოჯია. რადგან წვერი მიწაზე ეთრევა, ამის გამო მუდამ ხელში უჭირავს და ისე დააქვს.

ძველ დროშიაც ორი ამგვარი გრძელწვერიანი კაცი ყოფილა: ერთი მდიდარი გერმანელი ბრესლავიდან, რომელსაც მიწამდე ეთრეოდა წვერი, მეორე ესპანელი აფიცერი, რომელსაც იმ სიგრძის წვერი ჰქონდა, რომ წელზე ჰქონდა შემოვლებული და წვერი მაინც მიწამდის წვდებოდა.

* * *

ფარჩის მაღაზიაში ორი ევროპულად ჩაცმული ვაჭარი იჯდა. შემოვიდა ჭუჭყში ამოვლებული მეეტლე და უთხრა:

— გამარჯობათ, ვაჭრებო! კუპრს ხომ არ ჰყიდით?

— არა, ჩვენ სულელებს ვყიდით!

— ჰო, კარგი ვაჭრობა გქონიათ, ორიღა დაგრჩენიათ გასაყიდად, ღმერთმა ხეირი მოგცეთ, მშვიდობით!

* * *

ომის დროს ერთ კოჭლ ჯარისკაცს განუცხადეს, რომ შენ ფეხები არ გივარგა, ვერ გაიქცევი და ამიტომ ჯარიდან დათხოვნილი ხარო.

— მე კი მეგონა, — მიუგო ჯარისკაცმა, — რომ თქვენ ჯარისკაცი საბრძოლველად გინდოდათ და არა გასაქცევათო.

* * *

ერთ სახლში შუაღამისას ქურდი შეიპარა. სახლის პატრონს ფეხის ხმა შემოესმა და დაიძახა:

— ვინა ხარო?

ქურდმა ხმა არ გასცა.

— ვინა ხარ, უთუოდ ქურდი იქნებიო! — გაუმეორა სახლის პატრონმა.

მაშინ ქურდმა უპასუხა:

— თუ კი მიცნობ ვინცა ვარ, რაღას მეკითხებიო?

* * *

მეფე დიონისი უხეირო ლექსებს წერდა. ფილოსქენი არ უშინდებოდა მას და საქვეყნოდ ჰკიცხავდა მის ლექსებს, რისთვისაც ფილოსქენს ქვაზე მუშაობა მიუსაჯეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე დიონისმა სასახლეში მიიწვია ფილოსქენი და წაუკითხა მას თავისი ახალი ლექსი. ფილოსქენი თავდაპირველად გულდასმით ისმენდა ლექსს, ბოლოს კი უცებ ადგა და წავიდა.

— სად მიდიხარო: — ეკითხება მეფე.

— დიდებულო მეფე, — მიუგო ფილოსქენმა, — ქვაზე სამუშაოდ გეახლებიო.

* * *

— მიიღეთ აბები?

— არა!

— რატომ?

— თქვენ მიბრძანეთ, რომ სადილის შემდეგ გადაყლაპეო და მე კი ორი დღეა, რაც სადილი არ მიჭამია.

* * *

— აჰა, წამალი სადილის წინ მიიღეთ ხოლმე.

— სხვა დროს არ შეიძლება?

— არა.

— რაკი აგრეა, ბარემ სადილის ფულიც მომეცი, თორემ ვგონებ სულაც ვერ ველირსო წამლის მიღებას.

* * *

— თქვენი წერილი მძიმეა, ორი მარკა კიდევ უნდა დააკრათ.

— მერედა, ორი მარკა ხომ კიდევ უფრო დაამძიმებს?

# ნიუ-იორკიდან დეტროიტში

დ. პარკერი



დინარა ნოდიას ნახატი

— ილაპარაკეთ დეტროიტს! — გაისმა ყურმილში.

— ალო!— წარმოთქვა გოგონამ ნიუ-იორკიდან.

— გისმენთ!—გამოეპასუხა ვაჟი დეტროიტიდან.

— ო, ჯეკ! — თქვა მან,—საყვარელო, რა კარგია, შენი ხმა რომ მესმის. არც კი იცი, რა ძალიან...

— გისმენთ! — ისევ მოისმა.

— აჰ, არ გესმის ჩემი? — კითხულობდა გოგონა. — რა არის ნეტავი, მე ისე კარგად მესმის, თითქოს აქვე, ყურის ძირში მყავდე. ახლა როგორღაა, ძვირფასო? არც ახლა გესმის, გენაცვალე?

— ვინ გნებავთ? — იკითხა მან.

— შენ, ჯეკ, — უპასუხა გოგონამ, — შენ, ჯინი ვარ, საყვარელო, ოჰ, გამიგონე, ჯინი ვარ, ჯინი!

— ვინა? — იკითხა მან.

— ჯინი. აჰ, ვეღარა მცნობ? ჯინი ვარ საყვარელო, ჯინი!

— აა, გამარჯობა შენი. კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს, როგორა ხარ?

— კარგად,—მიუგო მან, — ოჰ, არც თუ ისე კარგად, ძვირფასო. ამას ველარ ავიტან. მე, ოჰ, რა საშინელებაა. აღარ შემიძლია. აღარ ჩამოხვალ? როდის მოდიხარ, გამაგებინე, შენ არც კი იცი, რა არის ლოდინი. მაინც რამდენი დრო გავიდა, საყვარელო, ეს არის შენი ოთხი-ხუთი დღე? საცაა მესამე კვირა დაიწყება, თითქოს წლები გავიდა... რა დღეში ვარ, რომ იცოდე, ეს რაღაც...

— რა ვქნა, რა მოვუხერხო. რა ჯანდაბაა, რა არის, არც ერთი შენი სიტყვა არ მესმის. ცოტა ხმამაღლა მაინც ილაპარკე, რაიმე მაინც მოიფიქრე!

— მოიცა, მოვსინჯო, ახლა გესმის?

— კი, ახლა უკეთ მესმის, — თქვა მან, — ასე ჩქარა ნუ ლაპრაკობ, კარგი, გაიმეორე, რას ამბობდი?

— რადა, უშენოდ აღარ შემიძლია-მეთქი, ამდენი დრო გავიდა და ერთი სიტყვაც არ მოგიწერია ჩემთვის. ოჰ, გავგიჟდი და ეს არის, ჯეკ. წერილს ვილა ჩივის, მოკითხვა მაინც გამოგეგზავნა, ან...

— გეფიცები, ერთი წუთით მოცლა არა მქონდა. თავს ვიკლავ და ესაა. ღმერთო ჩემო, ლამის დავიხრჩო ამდენი მუშაობით.

— მართლა? რომ იცოდე, როგორ მეცოდები. ამდენი როგორ ვიტუტუცე. მაგრამ ეს... ოჰ, ეს ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის, ერთი სიტყვაც კი, ერთი სიტყვაც... მეგონა, დარეკავდი და როგორც წინათ, როცა წასული იყავი ხოლმე, ტკბილ ძილს მაინც მისურვებდი.

— გგონია არა? რამდენჯერ დავაპირე, მაგრამ ვიფიქრე სახლში არ იქნება-მეთქი... და კიდევ ათასი რამ.

— გარეთ არ გავსულვარ, სახლში ვზივარ ჩემთვის მარტოდმარტო. ასე უფრო ჯობს. არავინ არ მინდა. ყველა მეკითხება როდის დაბრუნდება ჯეკიო? რა ისმის ჯეკისაგანო? მე კი არ მინდა, სხვებმა ჩემი ცრემლები რომ დაინახონ. იცი, რა ძნელია როცა შენ ამბავს მეკითხებიან, მე იძულებული ვარ...

— დასწყევლის ღმერთი, რა ჭირი ეცა ამ ხაზს, რა არის? — მოისმა პასუხად. — რა არის ძნელი? რაშია საქმე?

— ვთქვი, რომ არ ვიცი სად დავიმალო, როცა შენ ამბავს მეკითხებიან-მეთქი. უნდა ვთქვა — ოჰ, არაფერი. არაფერი. შენ როგორა ხარ, საყვარელო? მითხარი როგორა ხარ?!

— არა მიშავს — უპასუხა მან, — წელში გავწყდი. შენ ხომ კარგად?

— იცი, რისი თქმა მინდოდა, ჯეკ? დარდით აღარა ვარ. თითქოს შევიშალე. ოჰ, რა ვქნა, რა გავაკეთო, საყვარელო, რა გვეშველება? ოჰ, ჯეკ, ჯეკ, ძვირფასო!

—ეჰ, რა უნდა გავიგონო, როცა ასე ლუღლუღებ. ცოტა ხმამაღლა ვერ ილაპარაკებ? ყურმილში ილაპარაკე, ყურმილში!

— ამას ტელეფონში ვერ გეტყვი! ამდენი არ გესმის? განა არ იცი, რაზე გელაპარაკები? არ იცი? არ იცი?

— მეტი აღარ შეიძლება. ჯერ რაღაცას ლუღლუღებ, მერე ყვირი. მომისმინე, ამას აზრი არა აქვს. ამ ოხერი ხაზის გადამკიდეს, არაფერი მესმის. რატომ არ გინდა, დილით წერილი მომწერო? რატომ არ გინდა, ჰა? მომწერე და მეც მოგწერ, კარგი?

— ჯეკ, მოიცა, მოიცა, ყური დამიგდე! უნდა მოგელაპარაკო, გეუბნები, ლამის გავგიჟდე. გეხვეწები, გესმის რას ვამბობ, ჯეკ? მე...

— მოიცა ერთ წუთს, — თქვა მან, — კარებზე აკაკუნებენ. შემოდით. ამათ ვის ვხედავ?! რაღას უდგეხართ. შემოდით, უქნარებო. მოისროლეთ პალტოები და დასხედით. ვისკი კარადაშია, ყინული აი, იმ ხელადაში. მოიქეცით ისე, როგორც გნებოთ — ვითომ ნამდვილ ბარში ხართ. მეც ახლავე მოვალ. ჰეი, მომისმინე, აქ იმდენი გადარეული მოგროვდა, რომ ყურთასმენა არ არის, ადექი და ხვალ წერილი მომწერე. მომწერ?

— წერილი მოგწერო? ოჰ, ღმერთო, როგორ ფიქრობ, აქამდე არ მოგწერდი, შენი მისამართი რომ მცოდნოდა? მე ხომ ესეც არ ვიცოდი. შენ სამსახურში გავიგე მხოლოდ დღეს.

—ჰო, მართლა? მე მეგონა... აჰ, მოიცათ რა ცოტა, დააცადეთ ადამიანს. ეს ლაპარაკი ფული ღირს, რა გგონიათ, გესმის, მომხედე, კარგა ბლომად ფული კი დაგიჯდება ეს ამბავი. რაში გჭირდებოდა?!

— როგორ ფიქრობ ამაზე უკან დავიხევდი? ხომ მოვკვდი შენი ხმა რომ არ გავიგო. გეუბნები, მოვკვდები-მეთქი, ჯეკ, ჩემო სიცოცხლევ. დაიცა, არ გინდა მელაპარაკო? მითხარი, ასე რამ გამოგცვალა. ნუთუ აღარ გინდივარ? ნუთუ მართლა აღარ გინდივარ ჯეკ?

— რა ჯოჯოხეთია, არ მესმის, რა აღარ მინდა?

— გთხოვ, გთხოვ, გთხოვ, მომისმინე, როდის ჩამოხვალ, საყვარელო? მე შენ ძალიან მჭირდები. მე შენ ისე საშინლად მჭირდები, როდის ჩამოხვალ, როდის?!

— ხვალ ზუსტად მაგის შესახებ უნდა მომეწერა შენთვის. კარგით რა, ცოტა ხნით მაინც ვერ უნდა გაჩუმდეთ? ხუმრობა, ხუმრობაა; ალო, გესმის ჩემი? იცი, დღეს საქმე ისე აეწყო, რომ ვატყობ ჩიკაგოში გამგზავნიან ცოტა ხნით. სერიოზული საქმე ჩანს, მაგრამ ამას მალე მოვაგვარებ. ალბათ, შემდეგ კვირას წავალ.

— არა, ჯეკ, ოჰ, არ წახვიდე. შენ არ გააკეთებ ამას. შენ ვერ მიმატოვებ ასე... უნდა გნახო, ძვირფასო, უნდა გნახო! შენ უნდა დაბრუნდე, თუ არა და, მე ჩამოვალ შენთან. მე ვერ გადავიტან ამას. ჯეკ, არ შემიძლია!...

— მომხედე, ყველაფერს ისა სჯობია, რომ ახლა მოვრჩეთ, წახვიდე და დაიძინო, როცა დაწყნარდები, ყველაფერს კარგად გამაგებინებ. აქ ისეთი ორომტრიალია. აღარ გაჩერდებით? ღმერთო, რა საშინელებაა. მაინცდამაინც უნდა გამაგდოთ აქედან? აბა, ამაღამ მშვიდად იძინე, ხვალ კი ყველაფერს მოგწერ.

— მომისმინე, ჯეკ, არ წახვიდე, მიშველე რამე, ძვირფასო. გინდა ამაღამ გული გამისკდეს? თქვი, რომ გიყვარვარ. თქვი, რომ კიდევ გიყვარვარ, ღმერთი არა გწამს? თქვი, თქვი!..

— აჰ აქედან ვერ ვლაპარაკობ. ნუ გამაცოფე. როგორც კი გათენდება, მაშინვე მოგწერ, კარგად, გმადლობთ, რომ დამირეკე!..

— ჯეკ, ჯეკ, არ წახვიდე, ერთი წუთით დამაცადე, ჯეკ. შენთან სალაპარაკო მაქვს. მშვიდად ვილაპარაკებ, არ ვიტირებ, ისე ვილაპარაკებ, რომ ყველაფერი გაიგო. გთხოვ, ძვირფასო, გთხოვ!

— მორჩით ლაპარაკს? — მოისმა ყურმილში.

— არა, — დაიყვირა მან, — არა და არა! შემაერთეთ, შემაერთეთ ამ წუთას. მალაპარაკეთ. არა. აღარ არის საჭირო, არაფერია, აღარ...

ინგლისურად თარგმნა
ნანა გუხრაძემ



**უცხოური ნოველა**

# თითქმის ანეკდოტები



☐

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კალივ-ხირსაუში დაამზადეს უცნაური ძეხვი, რომლის სიგრძეა 1138 მეტრი, დიამეტრი კი 8 სანტიმეტრი.

„ჩემპიონი“ ძეხვი ქალაქის დაარსების 900 წლისთავის აღსანიშნავად გააკეთეს.



☐

ქალაქ ლინვუდში (ვაშინგტონის შტატი, აშშ) მცხოვრებმა ვინმე ჯორჯ ტაკისმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა... ცოცხალი თევზების ყლაპვაში.

ოთხი საათის განმავლობაში მან 507 „ოქროს თევზი“ გადასანსლა.

☐

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაწყვიტეს, რომ ტელეფონების ჯიხურები მუქი წითელი ფერით შეღებონ.

როგორც გამოირკვა, ეს ფერი ძალიან აღიზიანებს ჯიხურში ტელეფონის დასარეკად შესულ ადამიანს, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროს საუბარი.

☐

ფრანკფურტის ზოოპარკში ამას წინათ გამოჰკიდეს ვეებერთელა სარკე. ამ სარკეს ასეთი წარწერა აქვს მიმაგრებული: „თქვენ ხედავთ არსებას, რომელიც მთელს მსოფლიოში უმოწყალოდ ანადგურებს ცხოველებსა და მცენარეებს“.

☐

ამერიკის შეერთებულ შტატებში თითოეულ მცხოვრებზე რამდენიმე შინაური ცხოველი მოდის, მათ შორის 40 მილიონი ძაღლი და ამდენივე რაოდენობის კატა. ამერიკელებს ბინაში ჰყავთ 15 მილიონი სხვადასხვა ფრინველი და 600 მილიონი თევზი.



☐

ჰოლივუდის უკანასკნელი მოდაა — თმის სრული გადაპარსვა.

თმაგადაპარსული ქალები ყოველ დღე დადიან მხატვრებთან, რომლებიც ხელოვნურად გამელოტებულ კლიენტებს თავზე სალებავებით ახატავენ დავარცხნილ თმას.



☐

ბელგიაში მალე გამოუშვებენ ორიგინალურ ფეხსაცმელს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში საამოდ გააგრილებს გაოფლიანებულ ფეხს.

ლამჩებთან დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად იხსნება და ფეხსაცმლიდან სწრაფად ტუმბავს ცხელ ჰაერს.

☐

ინგლისის ქალაქ ბატერსში მწყობრში ჩადგა ახალი საცხოვრებელი კორპუსები... ძაღლებისათვის.

ძაღლებს გადაეცათ 456 კეთილმოწყობილი „ოთახი“, რომლებშიც დადგმულია სპეციალური საწოლები, მოწყობილია განათება, საჭირო გათბობა და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ამჟამად 30 ათასი უსახლკარო ადამიანი ცხოვრობს.

☐

პარიზში გამოსვლა დაიწყო ახალმა ჟურნალმა, რომელიც იბეჭდება ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ და იაპონურ ენებზე.

ჟურნალის დანიშნულებაა, აღნუსხოს და მკითხველებს ოფიციალურად გააცნოს მსოფლიოს ქვეყნებში ქურდების მიერ მოპარული ძვირფასი ნახატებისა და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების სია.

☐

სან-ფრანცისკოს (აშშ) უნივერსიტეტში გაიხსნა ორიგინალური მუზეუმი, რომლის დანიშნულებაა ადამიანის მხიარულ ხასიათზე დაკვირვება და გაცინება.

მუზეუმში თავმოყრილია სახუმარო სიმღერები, ანეკდოტები, კარიკატურები, სათამაშოები და ა.შ.

უნივერსიტეტის მეცნიერები გულმოდგინედ უკვირდებიან, რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე დიდი ხნის სიცილი.



☐

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ალკოჰოლური სასმელების მოხმარება სამჯერ გაიზარდა.

დასავლეთ გერმანიაში ამჟამად ორ მილიონზე მეტი გამოუსწორებელი ლოთია.

☐

სტოკჰოლმის მეტეოროლოგიური პროგნოზების ინსტიტუტმა ამას წინათ მიიღო შვეციის ხელოვნებათა აკადემიის პრემია — „პოეზიასა და ფანტასტიკაში მიღწეული წარმატებისათვის“.

ინსტიტუტს პრემია მიენიჭა მთელი წლის მანძილზე ამინდის მცდარი პროგნოზების ინფორმაციისათვის.

თითქმის ანეკდოტები

გადაეცა ასაწყობად 9/XII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/I-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 52.700. შეკვ. № 0098. უე 00635. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ჯემალ ლოლუა



— მეგობრებო, აწ განსვენებულმა სევას-
ტიმ ყველა ჩვენთაგანის გულში ჰპოვა
სამუდამო ბინა!
— უკეთესი იყო, სიცოცხლეში მიგეცა
ბინა...



ტრადიციული შეჯიბრი სმაში.

— ვითომ მართლა ასე მავნეა ეს ქელეხი?
— რა ვიცი, ჩემთვის კი ჯერ არ უწყენია
და!...





-- რაშია საქმე, თამაში ხომ გათავდა, რატომ არ მიდის ეს ხალხი
სახლში?
— მეიცა შე კაცო, სად უნდა წევიდეთ, ეფროსინეს ქელეხი არ
ვჭამოთ?



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა